დეკემბერი
1962 წელი. № 12

# საბჭოთა ქალი

645/1962/2



ეროვნული ბიბლიოთეკა

# კომუნიზმისაკენ!

ჭეშმარიტად რევოლუციურ ღონისძიებებს ახორციელებს მშობლიური კომუნისტური პარტია სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარების ხელმძღვანელობის დარგში. სწორედ ეს ღონისძიებანი განაპირობებს საბჭოთა ხალხის უმაგალითო წარმატებებს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აგებაში, ჩვენი ქვეყნის წინაშე სკკპ XXII ყრილობის მიერ დასახული ისტორიული ამოცანების შესრულებაში.

სახალხო მეურნეობის პარტიული ხელმძღვანელობის შემდგომი გაუმჯობესების ახალი უმნიშვნელოვანესი ღონისძიებანი შეიმუშავა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმმა, რომელმაც მოისმინა და განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვის მოხსენება „სსრ კავშირის ეკონომიკის განვითარება და სახალხო მეურნეობის პარტიული ხელმძღვანელობა“.

პლენუმის გადაწყვეტილებანი, რომლებმაც მთელი ჩვენი ხალხის მხურვალე მოწონება და მხარდაჭერა ჰპოვეს, გამსჭვალულია მშრომელთა კეთილდღეობის ამაღლების, მათი მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის ზრუნვის სულისკვეთებით.

პლენუმის დადგენილებით სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის წინათ დამკვიდრებული ორგანიზაციული ფორმების ნაცვლად, „რომლებმაც თავის დროზე დადებითი როლი შეასრულეს“ შემოღებულ იქნა ახალი ფორმები — პარტიის ხელმძღვანელი ორგანოების თავიდან ბოლომდე საწარმოო პრინციპით აგება, რაც უზრუნველყოფს მრეწველობის, მშენებლობისა და სოფლის მეურნეობის უფრო კონკრეტულ და გეგმაზომიერ ხელმძღვანელობას, საწარმოო საკითხებისადმი მთავარი ყურადღების მიქცევას.

„ასეთი გარდაქმნა, — ნათქვამია პლენუმის დადგენილებაში — გააქტიურებს პარტიის საქმიანობის ყველა მხარეს, ორგანიზაციულ და იდეოლოგიურ მუშაობას უფრო მჭიდროდ დაუკავშირებს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისა და ახალი ადამიანის აღზრდის ამოცანებს“.



პლენუმის მონაწილენი — მარჯვნიდან: სოციალისტური შრომის გმირები ლ. სახოკია და ე. სოლომონია (საქართველო), ორგზის სოციალისტური შრომის გმირი ს. ვიშტაკი (უკრაინა)

კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის ტემპების დაჩქარების ინტერესები მოითხოვენ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებში არსებული, ჯერ კიდევ გამოუყენებელი უდიდესი რეზერვების ამოქმედებას. ამისათვის საჭიროა ჩვენი ადამიანების ფიზიკური და სულიერი ძალების გამრავლება, თავდადებული, შემოქმედებითი შრომა სახალხო-სამეურნეო მშენებლობის გეგმების განუხრელი განხორციელებისათვის.

ნოემბრის პლენუმმა დიდი ყურადღება დაუთმო პარტიული, სახელმწიფო და საზოგადოებრივი კონტროლის გაძლიერებისა და სრულყოფის საკითხს, კონტროლისა, როგორც ხელმძღვანელობის გაუმჯობესებისა და სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში ფართო მასების ჩაბმის მძლავრ საშუალებას, ბიუროკრატიზმისა და საქმის გაჭიანურების წინააღმდეგ ბრძოლის იარაღს, მასების კომუნისტური აღზრდის კარგ სკოლას.

წარმოების შინაგანი რეზერვების გამოვლინებასა და ამოქმედებას, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას, მისი თვითღირებულების შემცირებას და შრომის ნაყოფიერების გადიდებას დიდად შეუწყობს ხელს ყოველდღიური კონტროლის განხორციელება, იგი დაგვეხმარება წუნისმკეთებლობის, საბჭოთა კანონების დარღვევის, სახელმწიფო და კოოპერაციული სახსრების დატაცებისა და გაფლანგვის, ყალთაბანდობისა და მექრთამეობის, წამგლეჯობისა და მუქთახორობის და ჩვენი საზოგადოებისათვის სხვა სამარცხვინო მოვლენების აღმოფხვრაში.

პლენუმის მიერ დასახული ამოცანების განხორციელება მოითხოვს მთელი ჩვენი ხალხის, ჩვენი ქალების ფიზიკური და სულიერი ძალების გამრავლებას, დაუღალავ და შემოქმედებით შრომას სახალხო მეურნეობის და კულტურული მშენებლობის ყველა უბანზე, ამ ამოცანების წარმატებით შესრულება დააჩქარებს ჩვენს წინსვლას კაცობრიობის ნათელი მომავლისაკენ — კომუნიზმისაკენ.

645
1962

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საახალწლო სურვილები

ახალი წელი ახლოვდება. ამ დროს ყოველთვის გვაქვს საახალწლო სურვილები. მე, ათი შვილის დედას კი ყოველთვის ერთი სურვილი მქონდა — ყველა ქალს განეცადა მრავალი შვილის სიყვარული. ზოგი ამბობს: ბევრი შვილი, ბევრი ტანჯვააო. მე კი ვიტყოდი, სიხარული უფრო მეტია. თუ ბავშვებს შრომას შეაყვარებ, თუ ყველას თავის საქმეს მიუჩენ, ამით დიდ საქმეს გააკეთებ— ქვეყანას კარგ მოქალაქეებს აღუზრდი და შენც ოჯახის ტვირთს შეიმსუბუქებ.

მე ვისურვებდი, რომ ქართველ ქალებს ყოლოდეთ სამი და მეტი შვილი და ყოფილიყვნენ ისეთი ბედნიერნი, როგორიც მე ვარ.

ეს ბედნიერება ადვილად არ მოსულა ჩემამდე. ამიტომ ჩემს შესახებაც მინდა გიამბოთ.

მე დავიბადე 1920 წელს, როცა ქართველი ხალხი ახალი, ბედნიერი ცხოვრებისათვის იბრძოდა. ბავშვობის პირველი წლები ობლობაში გავატარე. მამა არ მახსოვს. ორნი — მე და ჩემი და დავრჩით დედის ამარა. ქალს კი მთაში რა შეეძლო უმამაკაცოდ! დედა მალე დავკარგეთ. ის სულ ახალგაზრდა იყო და სხვამ მოიტაცა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებშივე ფილიპე მახარაძის ინიციატივით და პირადი ხელმძღვანელობით თბილისში გაიხსნა მთიელთა საბავშვო სახლი. ამ სახლმა უდიდესი როლი შეასრულა მთიელი ბავშვების ცხოვრებაში. აქ, როგორც ერთ ოჯახში, და-ძმურად ვიზრდებოდით და ვსწავლობდით თუშები, ფშავები, ხევსურები, სვანები და ოსები. ჩვენი აღმზრდელები კი ნამდვილი ადამიანები იყვნენ, შვილებივით ვუყვარდით, დედ-მამასავით გვივლიდნენ და ობლობაც არ გვიგრძვნია. საბავშვო სახლში ხუთი წელი დავყავით მე და ჩემმა დამ, მერე სწავლა კოჯრის საბავშვო სახლში განვაგრძეთ. აქ დავამთავრე შვიდი კლასი და შემდეგ დედასთან წავედი აფხაზეთის სვანეთში. აუწერლად დიდი იყო ჩემს გულში სწავლის წყურვილი. აქ იმ დროს იხსნებოდა პირველი საშუალო სკოლა. ოცნება ამიხდა. საშუალო სკოლაში ჩავერიცხე და მეც ამ სკოლის პირველ გამოშვებულთა რიცხვში ვიყავი. რალა ბევრი გავაგრძელო, ამ პერიოდში გათხოვებამაც მომიწია. ოჯახის შექმნა კი, ყველამ იცის, რარიგ ძნელია. პირველ ხანებში მეც გამიჭირდა. ოჯახის მთელი სიმძიმე ერთბაშად მხრებზე დამაწვა, მაგრამ შიში გულში არ გამივლია. ვიფიქრე, ყველაფერს გადავიტან, მხოლოდ წუწუნი არვინ შემატყოს, არვინ დამცინოს. განთიადამდე ავდგებოდი, საქონელს მოვუვლიდი, ოჯახს წესრიგში მოვიყვანდი, საჭმელს მოვამზადებდი და მივქროდი ხუთი კილომეტრის მანძილზე, სოფელ ჩხალთის დაწყებით სკოლაში, სადაც იმხანად მასწავლებლად ვმუშაობდი. გაკვეთილების შემდეგ კვლავ ხუთი კილომეტრის ფეხით გავლა და გვიან ღამემდე ოჯახში ტრიალი მიწევდა,

პირველი შვილის შეძენა დედისთვის პირველი დიდი სიხარულია და ჩვენმა პირმშომაც ოჯახში დიდი სიხარული შემოიტანა. მეც თითქოს ძალები გამიორკეცდა. ცხადია, შრომა მომემატა. ოჯახის უფროსები უკვე ღრმა მოხუცები იყვნენ, თუმც დასვენება იმათაც არ ჰქონდათ, ასეთია მთის ცხოვრების კანონები.

პირველ ბავშვს მეორე მოჰყვა, შემდეგ მესამე... ახლა იძულებული გავხდი მასწავლებლობაზე ხელი ამეღო, მოხუცებს არ შეეძლოთ ბავშვების მოვლა. ქმარი ხან კოლმეურნეობაში, ხანაც ტყის დამზადებაზე მუშაობდა. ჩვენს სოფელში საბავშვო ბაგა და ბაღი არ იყო...

მას შემდეგ საკმაო დრომ გაიარა. ამჟამად ათი შვილის დედა ვარ. ვზრდით, რაც შეგვიძლია, ძალღონეს არ ვიშურებთ არც მე, არც მეუღლე. პატარების აღზრდაში დიდ დახმარებას მიწევდნენ და დღესაც მიწევენ უფროსი ბავშვები, ეს პატარა „გადიები". ისინი თავიდანვე შრომას შევაჩვიე. ჩემი უფროსი ქალიშვილი ნათელა ჩემი პირველი თანაშემწე იყო. სახლს ალაგებდა და პატარა და-ძმების ტანსაცმელი წესრიგში მოჰყავდა. ასევე მეხმარებოდნენ სხვა შვილებიც. ოჯახში უფროსის სიტყვა კანონი იყო და უნდა ითქვას მართალი, რომ მათმა დახმარებამ ბავშვების მოვლა და აღზრდა გამიადვილა. დღეს კი ყველა ჯაფა და შრომა მავიწყდება, რადგანაც მჯერა, გაიზრდებიან და სამშობლოს წინაშე სირცხვილს არ სჭამენ.

უფროსმა ქალიშვილმა ნათელამ სოხუმის ინდუსტრიული ტექნიკუმი დაამთავრა და მალე მშობლიურ —სოფელ აჟარაში იმუშავებს ჰიდროელექტროსადგურის ტექნიკად. უფროსმა ვაჟმა ზაურიმ სამხედრო ვალდებულება მოიხადა. მომდევნო ქალიშვილმა ზაირამ საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ გორის ტექნიკურ სასწავლებელში განაგრძო სწავლა საფეიქრო დარგით. იბრაგიმმა შვიდწლედი დაამთავრა და კოლმეურნეობაში მუშაობა ირჩია, ჟენია მეშვიდე კლასის მოსწავლეა. ოთხი ბავშვი: ანზორი, ნადეჟდა, პაატა და ანუსია დრანდის სკოლა-ინტერნატში სწავლობენ, მათ სწავლა-განათლებისათვის ყველა პირობა აქვთ შექმნილი. ყველაზე უმცროსი ვაჟი ჯეირანი წელს სკოლაში პირველად წავიდა.

მე კვლავ სკოლას დავუბრუნდი. სოფელ ნაჰარის დაწყებითი სკოლის გამგე-მასწავლებლად ვმუშაობ. ახლა მხოლოდ სამ კილომეტრს დავდივარ ფეხით, თუმცა ხშირად ნათესავებში ვრჩები, თორემ ეს აღმართ-დაღმართი გვარიანად მღლის. რაც უნდა იყოს, ერთს კიდევ გავიჭირვებ და ვცდი პედაგოგიური ინსტიტუტის დაუსწრებლად დამთავრებას.

თამარ კვიციანი

ბიბლიოთეკა
* თბილისი



# კროსვორდი

მხატვარი ლია სვანიძე

## მ ო თ ხ რ ო ბ ა

იალტაში გაზაფხული ადრე დგება, ნუში იანვრის მიწურულში იწყებს ყვავილობას. ამ დროს აგარაკს მაინც ცოტა სტუმარი ჰყავს. ჩვენს დასასვენებელ სახლში ორმოცმა კაცმა ძლივს შეიყარა ჯავი. პირველ დღეს ერთმანეთს ცივად ჩამოვართვით ხელი, მეორე დღეს მგზავრობის ამბები გამოვკითხეთ, მესამე დღეს კი უკვე შინაურულად ვბაასობდით. მხოლოდ ერთმა ქალმა ვერ აგვიბა მხარი, ძალიან უცნაურად ეჭირა თავი; სასადილოში დაუგვიანებლად შემოვიდოდა. დარბაზს თავს დაუკრავდა და მაგიდას მიუჯდებოდა.

მერე ჩაიკეტებოდა თავის ოთახში და იყო იქ მარტო. ბეჭებზე მუდამ ყვითელი შალი ჰქონდა მოხურული, იმითვე იფარავდა ყელსა და მაღალ მკერდს, თითქოს მუდამ სცივაო. ამ შალზე ეფინა მოწითალო თმა, მხრების გარშემო გადაშლილი და გაჩეჩილი. დიდი სახე, შუა გაყოფილი ნიკაპი, ფართონესტოებიანი ცხვირი, სქელი ტუჩები და მოკლე წარბებისქვეშ ჩამჯდარი თაფლისფერი თვალები ჰქონდა. შუბლი თითქმის არ მოუჩანდა, ზედ თმა ეყარა.

კვირას სევასტოპოლში გასეირნება გადავწყვიტეთ. მსურველთა სიის შედგენა მე დამავალეს. ჩვენთან ერთი ლეკი იყო, მაგომედოვი. ის მოვიდა ჩემთან:

— ლევან, თმაგაჩეჩილმა შემოგითვალა, ჩამწერეო.

— რა გვარია? — მოვიმარჯვე უბის წიგნაკი და ავტოკალამი.

— ალაჰმა უწყის. ჩაწერე, თმაგაჩეჩილი-თქო. მთავარია, სათვალავში გვყავდეს. მანქანაში ოცდაერთი კაცი ეტევა. იცი, თურმე, მფრინავი ყოფილა?!

— მფრინავი კი არა... — გაიცინა იქვე მდგომმა ჭაბუკმა. გვარი აღარ მახსოვს, იურის ეძახდნენ.

— ჰო, მართლა, მართლა, მაიორი ყოფილა. — თქვა დაბეჯითებით მაგომედოვმა.

დილით მანქანასთან პირველი ის თმაგაჩეჩილი ქალი მოვიდა, თავი დამიკრა და გაჩერდა. უხერხული დუმილი ჩამოვარდა. უცებ, ენაზე რაც მომადგა, ის ვუთხარი:

— თქვენი პალტო კროსვორდსა ჰგავს.

ირიბად გამომხედა და გაიღიმა:

— გეტყობათ კროსვორდი ძალიან გყვარებიათ.

— ჭკუას ავარჯიშებს, ვერთობი ხოლმე.

სათქმელი შემოგველია. დუმილი ისევ მე დავარღვიე:

— ვიღაცამ სთქვა ქალი კროსვორდსა ჰგავსო.

— რა მოგახსენოთ... ეგ მამაკაცებს უკეთ გეცოდინებათ...

— ზოგი ქალი მართლაც გავს კროსვორდს... ძნელად ამოსახსნელ კროსვორდს.—მიხვდა, მისი მისამართით რომ ვთქვი, კვლავ ირიბად გამომხედა და ჩუმად ჩაიცინა.

— აჰ, თქვენც მობრძანდებით, ეკატერინა ადამოვნა? — ჰკითხა სერგეი კარპოვმა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვითომ მე რა ვარ, კათოლიკები არ მიგყავთ ექსკურსიაზე, თუ?

— აქამდე მე ისიც არ ვიცოდი, თქვენ რომ კათოლიკე იყავით.

— პოლონელი, აბა, ვინ ვიქნებოდი?

მანქანა მალე გაივსო და დაიძრა. ეკატერინე წინ იჯდა, ცალკე სკამზე. ზოგი მღეროდა, ზოგი ოხუნჯობდა, ის კი კრინტს არ სძრავდა.

მანქანა საპუნგორაზე გავაჩერეთ, იქ სამამულო ომში დაღუპულ მებრძოლთა საფლავზე უზარმაზარი ობელისკი დგას. ყველანი იქით გავეშურეთ. კარპოვმა ქუდი მოიხადა და მელოტი თავი მზეზე აუპრიალდა, თმა კეფაზეღა შერჩენოდა. ჩვენც ქუდები ხელში დავიჭირეთ.

— შენ რატომ არ იხდი ქუდს, ყმაწვილო? — ჰკითხა კარპოვმა იურის.

— ზღვაური უქრის.

— ზღვაურს მოგცემ მე შენ, მოიხადე!

— რას გადამეკიდე, ობელისკთან მოვიხდი.

— ამ მიდამოებში იმდენი საფლავია, სულ ქუდმოხდილმა უნდა იარო.

— ვისაც თავზე ორი ღერი თმაღა შერჩა, იმან სულ რომ აღარ დაიხუროს ქუდი, უფრო მოუხდება, მე კი ჯერ თმა არ მცვივა, — აგდებულად ისროლა სიტყვა იურიმ და ფეხს აუჩქარა.

შევამჩნიე: ეკატერინეს თვალში სიბრაზის ცეცხლი აუკიაფდა.

მივედით ობელისკთან. იურიმ ქუდი მოიხადა და ჩაილაპარაკა:

— საწყლები! რას იკლავდნენ თავს? ეს ძეგლი რომ დაედგათ გულზე?

ეკატერინე ერთი შეცბა, მერე მკლავი ხელუკუღმა გაიქნია და იურის მოსხლეტით გაულაწუნა. ბიჭი გაშრა, არ მოელოდა ამას, ხელი ლოყაზე მოისვა, დავინახე — მწარედ გაიღიმა, შეტრიალდა და კრინტის დაუძრავად გაბრუნდა უკან.

— ამისთანა ცხვირმოუხოცელი ბიჭბუჭები არიან, გულს რომ გვიფუჭებენ. ამ ძეგლისთვის გასწირეს თავიო? რა თავხედურად თქვა, ჰა? ამ ძეგლისათვის კი არა, შენ რომ თავისუფლად გესეირნა და დაგესვენა ყირიმის მიწაზე, ამიტომ ჩაწვნენ საძმო საფლავში, შენ კი... ეკატერინე კარგახანს ვერ დამშვიდდა. მუზეუმის წინ მდგარ ტანკებსა და ქვემეხებთან მივედით.

— აი, ასეთ ტანკში ვიჯექი სამ წელიწადს, — შევჩერდი მე.

— ომში იყავით?

— ორჯერ ვარ დაჭრილი.

— მერე, რაღა მე მაცემინეთ ის თავქარიანი?

სევასტოპოლში პანორამის დათვალიერებისას ერთმა სურათმა გამიტაცა, ჯარისკაცი ყუმბარას წყლით რომ აქრობს. მოვიხედე, დარბაზიდან ყველანი წასულიყვნენ, მხოლოდ ეკატერინე იდგა ჩემს გვერდით, სახელურიანი ლუპა ეჭირა და ისე აკვირდებოდა ბრძოლის რომელიღაც დეტალს. გამიკვირდა, მფრინავს ლუპა რად სჭირდება-მეთქი და ვკითხე.

— ორი წელიწადია აღარ ვფრინავ, დავბეცდი და... ვარ ასე.

— რატომ სათვალეს არ გაიკეთებთ?

— ასე მირჩიეს. თვალისჩინი უწინდებურად დაგიბრუნდება, თუ სათვალეს არ იხმარო. ექიმების ბევრი არაფერი მწამს, მაგრამ ზოგჯერ მაინც ხომ უნდა დაუჯერო?

მინდოდა გამეგო, რამ დაუზიანა თვალისჩინი, ან ორი წლის წინათ ისეთი რა შეემთხვა — მფრინავობას თავი რომ დაანება. კითხვა იმან დამასწრო:

— თქვენ ქართველი ხართ, არა?

— არ მეტყობა?

— მეც დედა ქართველი მყავდა, ამირეჯიბის ქალი.

— ოჰო. თვითონ კი პოლონელი ხართ, არა?

— საიდან იცით?

— დილით ავტობუსთან თქვენვე არ თქვით, პოლონელები კათოლიკები ვართო?!

— ყურადღებიანი ყოფილხართ. მამა მყავდა პოლონელი, ბრონევსკი, ეგებ გაგიგონიათ კიდეც, ბათუმში ჟურნალისტობდა.

— არა, არ გამიგონია.

— მეც ბათუმში დავიბადე, ათი წლისა რომ გავხდი, ლენინგრადში გადავედით. მერე ოცდაჩვიდმეტში დედმამა დამეღუპა და... ეჰ, რაც იყო, იყო... თქვენი სახელი?

— ლევან ინწკირველი. თქვენ როგორ მოგმართოთ, ეკატერინე ადამოვნა, თუ...

— შევატყვე ესიამოვნა, მისი ვინაობა გაუცნობლად რომ ვიცოდი.

— უბრალოდ კატია დამიძახეთ... უბრალო ყველაფერი კარგია, ახლოსაა გულთან.

პანორამის დარბაზს ხვეული კიბე აქვს. რაკი გავიგე, ეკატერინე ბეცი იყო, ხელკავი გავუკეთე და ეზოში ისე გავიყვანე.

— გმადლობთ, ლევან, — მითხრა კიბეს რომ გავცდით, — მე მაღლა ასე დიდხანს განგებ დავრჩი, თქვენ გელოდით. ყველას ხომ არ ვეტყვი, ბეცი ვარ და კიბეზე ხელი შემაშველე-მეთქი? თქვენ კარგი სამეგობრო ვაჟკაცი ჩანხართ და, თუ საწინააღმდეგო არაფერი გაქვთ, ვიმეგობროთ.

ქალი რომ მეგობრობას შემოგთავაზებთ, სხვა რომ არაფერი, ზრდილობისათვის მაინც დაეთანხმებით. ის კი არ მომეწონა, პირველსავე შეხვედრისას ამდენი სითამამე რომ გამოიჩინა. ჯერ იყო და, სულ უკარება ჩანდა, ახლა კი...

უკან გამობრუნებისას ეკატერინე ჩემ გვერდით დაჯდა, საერთო მხიარულებაში ჩაერთო და იალტას რომ მოვუახლოვდით, სიმღერაც კი წამოიწყო.

გაჩერდა მანქანა.

— ეჰ, რა მალე გაირბინა დღემ, — სინანულით ჩაილაპარაკა ეკატერინემ და მე შემომხედა, — მიყვარს გზა, ადამიანებს აახლოვებს.

— დროებით, — დავუმატე მე.

— ამ ქვეყანაზე ყველანი დროებით ვცხოვრობთ. — მომიჭრა სიტყვა.

ერთი კვირის თავზე შევამჩნიე, რაღაცის თქმა სურდა და ვერ მიბედავდა.

— ეკატერინე ადამოვნა, დღეს ერთობ სხვანაირი მეჩვენებით, თითქოს რაღაც გაწუხებთ და... — შევბედე თავად.

— აკი გითხარით, უბრალოდ კატია დამიძახეთ-მეთქი!

შევყევით საუბარს, ხან ესა ვთქვით, ხან ის და უცებ:

— ლევან, ნავახშმევს სანაპიროზე გავისეირნოთ, ჰა!

იქ რომ ჩავედით, თითქოს ზღვას ჩვენი შეეშინდაო, უკან დაიხია, წამით დაფიქრდა, მერე შეშფოთდა, გულმოსული აქეთ გამოექანა და კედელ-კიბეს შეასკდა, ჭაღარაშერეული ფაფარი მაღლა აჰყარა და კვლავ უკან დაიხია, რომ ისევ გამოელაშქრა.

ეკატერინე ქვის მოაჯირს მკერდით დაეყრდნო და დაფიქრებული დაბინდულ უსასრულობას მიაცქერდა. სულ დაავიწყდა, გვერდით რომ ვედექი.

— ვინ უწყის, ზღვაში რამდენი განძია დამალული, — ჩავილაპარაკე უხერხული დუმილის დასარღვევად.

— ადამიანში მეტია, ოღონდ აქაც და იქაც ძნელი საპოვნელია, — ეს ისე თქვა, ჩემსკენ არც მოუხედავს. ერთხანს გარინდებული იდგა, მერე უცებ მომიბრუნდა: — წავიდეთ. როცა დგახარ, ცოტა ცივა.

— ამბობენ, იალტა გაზაფხულის მიწურულშია გადასარევიო, თურმე ქალაქი ვარდებში ეხვევა სულ. აი, მაშინ რომ ჩამოვსულიყავით...

— მე ვარდები სულაც არ მიყვარს.

— ჰა? — ყურს არ დავუჯერე. პირველად შემხვდა ქალი, რომელმაც ვარდი უპატივცემლოდ მოიხსენია. — აბა, რომელი ყვავილი გიყვართ?

— გვირილა. ჰო, მინდვრის ველური გვირილა, თეთრი, წითელი, გულყვითელი... აი, ბავშვის ხელით დახატულ მზეს რომ ჰგავს.

— ალბათ, ყმაწვილქალობისას გულისტოლმა გვირილას გვირგვინი დაგიწნათ, და...

— სულაც არა! ყმაწვილქალობისას ვარდი უფრო მიყვარდა...

— მერე გიჩხვლიტათ, გაგაბრაზათ და უეკლო ყვავილზე გასცვალეთ, არა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა მარტივად გვეჩვენება ყველაფერი, რასაც არ ვიცნობთ! — ეკატერინე წამით შეჩერდა, ქვედა ტუჩს კბილი დააჭირა და უცებ მომახალა: — ლევან, მოდი, ეს საღამო ერთად გავატაროთ.

—რესტორანში შევიდეთ, ჰო, ჩვენ ორნი. რამ შეგაწუხა? ფული მე მაქვს. ორას მანეთ პენსიას ვიღებ, თუ არ დავხარჯე, რა ჯანაბას შევუნახო?

გულში ფიქრის მორევი დამიტრიალდა: „ვინ არის ეს ბეცი მფრინავი, რომელსაც გვირილა ურჩევნია ვარდს, აქვს ამხელა პენსია და არ იცის, როგორ დახარჯოს?“ აქამდე მის ყველა საქციელსა თუ სიტყვას უცნაური ახირებულობით ვხსნიდი, ახლა კი აღარ ვიცოდი რისთვის მიმეწერა.

— რამ ჩაგაფიქრათ, ლევან? დალევა აკრძალული ხომ არა გაქვთ? გეშინიათ ქალის თანხლებით რესტორანში შესვლა? რაო, ცოლმა არავის აჰყვეო? ხომ გყავს მეუღლე?

— მეუღლეც მყავს და ოთხი შვილიც...

— ძალიან კარგი... წამოდით, ნუ გეშინიათ! ორიოდე ჭიქა დავლიოთ, დამდეთ პატივი... ნუ გამაწბილებთ... დღეს რომ არ დავლიო, ბოლმა დამახრჩობს. ამ დღეს მარტო ყოფნა არ შემიძლია, მეცით პატივი...

არ ვიცი, ცნობისწადილმა წამძლია თუ სხვა რამემ, ცოტა ხნის შემდეგ რესტორნის კარი შევაღე. ეკატერინე ცალკე ოთახში შემიძღვა.

—ყირიმული ღვინო გავსინჯოთ, „მაგარაჩი“, ძალიან აქებენ, — ვთქვი და დასტური რომ ვერ მივიღე, დავძინე:— მაშინ ქართული კონიაკი...

— თქვენ რომელიც მოგწონთ, ის მოატანინეთ. სუფრა მალე გაიშალა. პირველი ჭიქით ჩვენი გაცნობა ვადღეგრძელეთ. შემაქო: გულითადი ვაჟკაცი ჩანხარო.

— მოდი, ახლა გვირილას გაუმარჯოს! — ეკატერინემ ჭიქა ჩემ ჭიქას მოუჯახუნა.—თქვენს ვარდსა და ჩემს გვირილას: ომის დროს, როცა გერმანელები უკან დაოთხდნენ, ხშირად გვიხდებოდა აეროდრომის გამოცვლა. თითქოს განგებო, საველე აეროდრომად მუდამ ვიყენებდით ისეთ მინდორს, რომელიც სავსე იყო გვირილებით. ჰოდა, ცაში რომ ავფრინდებოდი, ღმერთსა თუ ბუნების ძალას სულ იმას ვევედრებოდი, გვირილებთან უვნებლად დამაბრუნე-მეთქი. მიწაზე როცა ვჯდებოდი, პირველად გვირილა მესალმებოდა, თავს კრძალვით მიკრავდა და გადარჩენას მილოცავდა. მეც, თვითმფრინავიდან გადმოსვლისთანავე, გვირილებში გავგორდებოდი და მაშინ ისე მეგონა, სიკვდილი ვერასოდეს მომერევა-მეთქი. ასეთი რწმენა ჩამინერგეს გულში გვირილებმა და მეც ისინი ჩემი სიცოცხლის მფარველ ანგელოზებად ვიწამე. ვისაც რა სწამს სიცოცხლედ და სილამაზედ, იმას გაუმარჯოს. მთავარია, რაღაც გწამდეს. დალიეთ, ლევან.

მესამე ჭიქის შემდეგ მეც თამამად ავლაპარაკდი.

— ქმარი არ გყავთ, ხომ მართალია, კატია? — ახლაღა გავბედე ამის თქმა.

— რაზე მეტყობა?

— რა ვიცი, ისე...

— მყავს, ძალიან ლამაზი ქმარი მყავს... ჭკვიანი და ლამაზი.

სიყვარულისა კი რა მოგახსენოთ... ჩემი სიყვარული ცაში ფრინავს და არცერთი აეროდრომი არ ღებულობს, გესმის?

— შენი ქმარიც მფრინავია?

— არა... ცაში მხოლოდ ჩემი სიყვარული ფრინავს...

— ეშმაკმა დალახვროს, ვერაფერი გავიგე. თუ ქმარი მიწაზე დაგიდის, შენი სიყვარული ცაში მარტო რატომღა ფრინავს?

— კროსვორდია, არა?

— ძალიან ცუდად შედგენილი. მე მგონია, ქმარი არ გიყვარს და...

— ცოტა მართალი ხართ. ათი წელიწადია ხელმოწერილები ვართ და ერთად ათ თვესაც არ გვითევია ღამე. ის არქიტექტორია, მე მფრინავი... ის სულ ძირს იყო, მე — ცაში... ერთმანეთს იშვიათად ვხვდებოდით, თითქმის შემთხვევით... სულ მელოდა, მერე, ეტყობა, მოლოდინში გული გადაუწყდა, შემატყო ვერ შევიყვარე და თვითონაც გაუნელდა სიყვარული!..

ჩვენს ეკიპაჟში ერთი ქართველი ჭაბუკი იყო, გელა მეტრეველი. ომის დამთავრებას ერთი კვირაც აღარ უკლდა, ის რომ მძიმედ დაიჭრა. რომელიმე ჰოსპიტალში სასწრაფოდ უნდა მიგვეყვანა. ავფრინდით, არცერთმა აეროდრომმა არ მიგვიღო, საძაგელი ამინდი იყო. კარგა ხანს ვიტრიალეთ ცაში. ბენზინი გვითავდებოდა და იძულებული გავხდით ალალბედად ერთ მინდორზე დავშვებულიყავით. გელამ ჩემ მკლავზე დალია სული. სიკვდილის წინ ისე შემომხედა, მაგრძნობინა, ამ ქვეყნიდან გულით მხოლოდ შენი ხატი მიმაქვსო. გელასათვის ერთხელაც არ მიკოცნია... ძალიან მიყვარდა და ეს მიწიერი ამბავი რატომღაც მეუხერხულებოდა, ბავშვურად მრცხვენოდა... თვალი რომ დახუჭა, პირველად მაშინ ვაკოცე... ეს მოხდა დღევანდელ დღეს, ცხრა თებერვალს... ამ დღეს იყო დაბადებული და ამ დღეს გაშორდა წუთისოფელს, ზუსტად ოცდაერთი წლის... დილით გელას დღეობის გადასახდელად ვემზადებოდით, საღამოზე კი უკაცრიელ მინდორში ვისხედით და მის გაციებულ სხეულს დავცქეროდით. ერთხანს მთელი ეკიპაჟი ქვასავით სდუმდა, ვერც ცრემლის გადმოგდება შევძელით, ვერც კრინტის დაძვრა. გელა ძალიან ლაღი, ხუმარა და იმედიანი ბიჭი იყო, მისი სიკვდილი რატომღაც არ გვჯეროდა... გულჩამქრალიც კი თითქოს იღიმებოდა.

— მოდით, ბიჭებო, ნუ ჩავშლით გელას დაბადების დღეს, — ვუთხარი ჭირისუფლებს და იქვე გავშალეთ სახელდახელო სუფრა. ჩამოვარიგეთ არყის ჭიქები. ერთი ჭიქა გელას მკლავთან დავდეთ. მისი დღეობა ისევე ვიზეიმეთ, როგორც წინა წელს, ოცისა რომ გახდა. დავივიწყეთ, რომ გელა მკვდარი იყო. ყოველი სადღეგრძელოს წარმოთქმისას მის ჭიქასაც ვავსებდით, და სადღეგრძელო რომ ჩამოთავდებოდა, მიწაზე ვღვრიდით, თითქოს გელა სვამდა... იმ დღეს სხვანაირი გლოვა ჩვენ არ შეგვეძლო, ასე ვეცით პატივი. მის მერე ჩემი სიყვარული სულ ცაში ფრინავს და არცერთი აეროდრომი არ ღებულობს... ვერ იქნა და გელა გულიდან ვერ ამოვიგდე. აი, თქვენ ჭეშმარიტად ბედნიერი კაცი ხართ, შვილები გყავთ, მე კი... არ ვიცი, რამ იმოქმედა, ყოველდღიურად ცაში ყოფნამ, თვითმფრინავის საჭესთან დაძაბულობამ თუ სხვა რამემ, შვილი არ გამიჩნდა და... ქალი რომ დედა ვერ გახდება, ძალიან ძნელი ყოფილა, ცოლქმრულ გრძნობას ხიდი აკლია ალბათ... ლევან, ასწიეთ ჭიქა, გელას სადღეგრძელო დავლიოთ... სადღეგრძელოც და მოსაგონარიც... დღეს ოცდაჩვიდმეტი წლის გახდა. ჩემზე უფროსი იყო ერთი წლით... აი, მე მალე ოცდათექვსმეტი შემისრულდება, ის კი მაინც ოცდაერთისაა... ჰოდა, ის ოცდაერთი წლის ჭაბუკი სულ დამდევს, სადაც წავალ... თუ დაბერება მეღირსა, იმ ჟამამდეც ასევე გამომყვება... ვერ მელევა, კვალდაკვალ მომყვება, კვალდაკვალ... ხომ მიმიხვდით, ლევან?

ვატყობდი, ვინმესთვის გულის გადაშლა ეკატერინეს ამ დღეს სიცოცხლედ უღირდა, თითქოს მოძღვრის წინ იდგა და აღსარებას ამბობდა, ჰყვებოდა ცოდვა-მადლით სავსე თავის ამბებს და გულიდან სევდის ტვირთს იხსნიდა. მეც გულისყურით ვუსმენდი.

— ლევან, ვაჟკაცურად მითხარით, ხალხი ჩემზე რას ამბობს? ვიღაც ველური და მიუკარებელიაო, არა? ზოგიც ალბათ, ჩემში მხოლოდ ქალსა ხედავს, თმაგაწეწილ დედაკაცს, ხომ მართალია?

უსიტყვოდ დავეთანხმე, მართალია-მეთქი.

— ალბათ თქვენც გგონიათ, კატია

მოდას არის აყოლილი და თმა იმიტომ გაუშლია, კაცებს რომ თავი მოაწონოსო. არა? მერე და, იცით, ასე რატომ ვარ გაფოფრილი? — ეკატერინემ თმას ხელი გადაჰკრა და შუბლზე ორი დიდი ნაჭრილობევი გამოუჩნდა, —აი, ამას ვიფარავ! არა, ჩემი ჭრილობებით არ ვტრაბახობ, ვიფარავ, გესმის? თქვენ კი გგონიათ... ეჰ, რაც არის, არის, მოდი, დავლიოთ კიდევ! თქვენ გაგიმარჯოს, ლევან!

უხმოდ დავლიე და თანამოინახეს ისე შევხედე, შემატყო, რომ შემეცოდა.

— რას მომაჩერდით? სულ ესა ვარ, რაცა ვარ...

— ეგ ჭრილობები ახალი ჩანს, ომისდროინდელს არა ჰგავს... ეს როდის მოგივიდათ?!

—მშვიდობიანობის ჟამს, ორიოდე წლის წინათ...

— სად?

— ეჰ, ეს გრძელი ამბავია... რეაქტიულ თვითმფრინავზე ვიჯექი და მარცხი მომივიდა... ეს მარცხი რომ არ მომსვლოდა, იქნებ, კოსმოსშიც კი გავფრენილიყავი, მაგრამ სტარტამდეც ვერ მივედი, ხომ ხედავთ... არა უშავს, დიდი საქმე უმსხვერპლოდ არ კეთდება! მე წავაგე ცასთან ბრძოლა, მაგრამ ჩვენ ხომ არ წაგვიგია, ჩვენ! ესაა მთავარი! ლევან, მგონი შეგაწყინეთ ლაქლაქით, არა?

— რას ამბობთ, კატია, ეს საღამო კუბოს ფიცრამდე მემახსოვრება....

— იცით, ლევან, ცაში თითქმის ჩვიდმეტი წელიწადი გავატარე... თვითმფრინავით მსოფლიო მაქვს შემოვლილი და ჩემი სულიც თითქოს თვითმფრინავს დაემსგავსა: ერთ წუთში რომ აყვავებულ მიწას დასტრიალებს, მეორე წუთში უდაბნოს უვლის თავზე. ერთ დღეს ზამთარშია, მეორე დღეს გაზაფხულში გადაფრინდება. ამიტომ ჩემსას ნურაფერს გაიკვირვებთ, ნურც სითბოს, ნურც სიცივეს, ნურც იმედს, ნურც უიმედობას, ნურც ღიმილს, ნურც მრისხანებას. აი, მთელი დედამიწა თითქო ჩემში შემოვიდა თავის სიავ-კარგით, სიკვდილ-სიცოცხლით, აღმაფრენითა და სევდით, ნათელი მისწრაფებებით და მელანქოლიით, მთებითა და ველებით, ზღვითა და ცით... ხედავთ, რა დღე დამაწია თვითმფრინავმა.... მოდით, ახლა დედამიწის სადღეგრძელო დავლიოთ! დღეს ესაა მთავარი...

იმ საღამოს ეკატერინემ ბევრი რამ მიამბო, თუმცა გული ბოლომდე მაინც არ გამიხსნა.

— კატინკა, ხომ კარგად გეძინათ? — ვკითხე მეორე დილით.

— მგონი, სულაც არ მძინებია... თქვენ რომ დაგემშვიდობეთ, მარტო დავრჩი, სულ მარტო... ოთახში ჩაკეტილმა ღამემ სადღაც უსახელო კუნძულზე გამრიყა... მერე იქიდან გამოვხედე სამყაროს და იცით, რა მომეჩვენა? რომ შორს, უსასრულოდ შორს არის თავდახურული და კარჩაკეტილი სახლები, იმ სახლებში ცალ-ცალკე სძინავს უამრავ ხალხს, რომ სწორედ ეს დაკეტილი კარი თიშავს ადამიანებს, აი, ჭერ-სახურავი რომ აეხადოს ყველა სახლს, კარები რომ ჩამოეხსნას და მათ მაგივრად გამჭვირვალე მინა გაუკეთდეს, მაშინ სხვა იქნება-მეთქი. ადამიანები ერთი დიდი ცარგვალის ქვეშ აღმოჩნდებიან, ყველა ერთნაირად შეხედავს ზეცას, ამით გაერთიანდებიან და ერთიმეორეს უფრო დაუახლოვდებიან-მეთქი. უცნაური ფიქრია, არა? წუხელ კი მე სულ ამას ვნატრობდი. ალბათ ამ ფიქრით მინდოდა ჩემი სიმარტოვე შემევსო. მსურდა დამენახა, მთელი დედამიწის ზურგზე ვინ რას აკეთებდა. ჩამეხედა თვითეულის თვალსა და გულში. თუ ვინმეს ავი რამე ექნებოდა ჩაფიქრებული, მეგრძნობინებინა, რომ ამას სხვებიც ვამჩნევთ და ვიდრე გვიან არ არის, შავ განზრახვაზე ხელი აიღე-მეთქი...

— ეგ, ცუდი არ იქნებოდა, მაგრამ...

დასვენების თვე მალე მიიწურა და ეკატერინეს ისე დავშორდი, მისი გულის ბევრი საიდუმლო ამოუცნობი დამრჩა. ეგებ კვლავ შევხვდე სადმე და მისი ამბებიდან უამრავი რამ ახალი გავიგო, მაგრამ ერთ რამეში კი წინდაწინ ვარ დარწმუნებული: ბოლომდე იმ თმაგაჩეჩილი ქალის ბუნება-ხასიათს მაინც ვერ ამოვიცნობ.

აი, დღეს მე უკვე სულაც არ ვეთანხმები ერთ ჩემ მეგობარს: ქალი ძნელად ამოსახსნელ კროსვორდს რომ შეადარა, ქალი კროსვორდზე მეტად ზღვასსა ჰგავს, არ იცი, გულში რა დიდ განძს ან სხვა რამეს მალავს... თუმცა მარტო ზღვას კი არა, ქალი ცასაც ჰგავს. დიდი და მაღალია ცა, დაილოცოს მისი გამჩენი!

აკაკი გეწაძე



ეროვნული
ბიბლიოთეკა

# 25 წელი დირექ-ტორად



ნაძვების ხეივანს ბოლო არ უჩანს, გზა კინოლენტივით გაჭიმულა. ცისფერ ჭიშკრებს იქით ოლეანდრებსა და მაგნოლიებს ზეიმი გაუმართავთ.

საღამოსპირია, ჩამავალი მზის ოქროში ლივლივებს დასავლეთი.

ნასაკირალის ჩაის ფაბრიკასთან ჩაის ფოთლით დატვირთული მანქანების ქარავანი დგას. ფაბრიკის დირექტორს — თამარ სურგულაძეს შემოხვევიან მათი პატრონები და „განაჩენს“ ელიან.

—არ მივიღებ ასე უხეიროდ დაპუტულ ჩაის! — ედავება იგი ერთს.

— თამარს შემოვევლე, ნუ დამღუპავ, ჩახურდება ჩაი და ამდენი შრომა წყალში ჩაცვივა — სთხოვს დამნაშავე.

— ეს უკანასკნელი იყოს! — აფრთხილებს თამარი ისედაც დარცხვენილ ადამიანს და მერე სხვებს მიუბრუნდება.

როცა ამ 25 წლის წინათ თამარ სურგულაძეს ფაბრიკის დირექტორობა შესთავაზეს, ქვა ისროლა და თავი შეუშვირა: „არა, ჩემგან ადმინისტრატორი არ გამოვა. კაცმა ქვეყანა რომ დაანგრიოს, სამსახურიდან ვერ მოვხსნი. ტექნოლოგი ვარ და დამაყენეთ ჩემთვისო.“ — არ დაუჯერეს...

პირველი, რაც თვალში ეცა ახალ დირექტორს, მუშების ცხოვრების ცუდი პირობები იყო. ბინებში ჭუჭყი და ციება ჩაბუდებულიყო.

— ღმერთო კი მომკალი, ჩაის რა თავში ვიხლით, ხალხი თუ კარგად არ გვეყოლა! — შემოუძახა თანამშრომლებს და შაბათობაზე გაყარა.

ხელებდაკაპიწებული ხეხავდა იგი შემჭვარტლულ კედლებსა და იატაკს. მერე ტელეფონის ყურმილს იღებდა და იხვეწებოდა: მომაშველეთ მედიკამენტები, მეხოცება ხალხი მალარიითო.

ბევრი რამ შეიცვალა მას შემდეგ. ფაბრიკის გარშემო სოკოებივით გამრავლდა კოპწია ოდა-სახლები და მალარიის სახელიც კი აღარავის ახსოვს.

თამარის კაბინეტი ცალკე შენობაშია მოთავსებული, ფაბრიკის გადმოღმა. ღია ფანჯრიდან ხელისგულივით მოჩანს მაღალი ხეებით მოჩრდილული ეზო. ალაყაფის კართან ხალხი ირევა, სიცილთან ერთად ჩაის სურნელიც ატანს კაბინეტამდე.

თამარს ეღიმება:

—ფაბრიკის შენობა ცოტა მოგვიძველდა, მაგრამ არ გეგონოთ მანქანები ძველი სისტემით მუშაობდნენ, ვინ იცის რამდენჯერ მოხდა მათი რეკონსტრუქცია. ჩვენი ფაბრიკა პირველია საქართველოში, რომელიც „მწვანე ჩაის“ უშვებს. — ამბობს იგი და მოყვითალო-მომწვანო — საოცრად ლამაზი ფერის სითხით სავსე ჭიქას ხელში იღებს. იგი სრულიად არ გავს არც გემოთი და არც ფერით ჩვეულებრივი შავი ჩაით დამზადებულ სასმელს. წინათ „მწვანე ჩაი“ იაპონიიდან შემოგვქონდა. ახლა კი მსოფლიოს მრავალ კუთხეში შეხვდებით,

„მწვანე ჩაის“ ქართული იარლიყით, რომელიც კონკურენციას უწევს სხვა ქვეყნების პროდუქციას.

მწვანე ჩაის დამზადება ხელსაყრელიცაა. შავი ჩაის სადნობ აგრეგატში „მწვანე ჩაის“ დამზადების პირველი ორი პროცესი — დაორთქვლა და შეშრობა ერთად სრულდება, შემდეგ გადადის სახმობ აგრეგატში. ყოველივე ეს საგრძნობლად ადიდებს გამტარიანობას.

თბილი, დაგუბული, მაგრამ არომატით გაჟღენთილი ჰაერი პირველ საამქროშივე გახვევს თავბრუს. კარების ღრიჭოდან ირიბად შემოსულ მზის ფართო სვეტში, თითქოს მიკროსკოპში ჩაგახედესო, ჩაის უამრავი პაწაწკინტელა შავი წერტილები ირევა.

— თავისუფალი ყუთი მომაზადე, უკვე გაივსო! — ძლივს აღწევს შეხშულებულ ჰაერში ჭრელთავსაფრიანი ქალიშვილის ხმა, სადღაც ზევიდან.

ლაბორატორიაში ქირურგიული სისუფთავეა. თაროებზე ლითონის პატარა მრგვალი ყუთებია ჩამწკრივებული, რომლებშიც ჩაის სინჯებია დახარისხებული. ამ სინჯების მიხედვით ხდება შემდეგ ჩაის გაგზავნა გადამწონ ფაბრიკებში.

თითქმის მთელი წლის განმავლობაში მიმდინარეობს მუშაობა ნასაკირალის ჩაის ფაბრიკაში. ოქტომბრის პირველი რიცხვებიდან, როდესაც ხარისხოვანი ჩაის კრეფა მთავრდება, მწვანე „აგურა ჩაის“ მასალის დამუშავება იწყება. ეს მასალა იმ უხეში ფოთლებისაგან მზადდება, რომელიც ხარისხოვანი ჩაის კრეფის შემდეგ რჩება. გამზადებული მასალა დასაწნეხად ჩაქვისა და ზუგდიდის საწნეხ ფაბრიკებში იგზავნება.

თებერვლის თვიდან ფაბრიკა ჩაის ანასხლავი მასალიდან ამზადებს კოფეინის მასალას. ერთი ტონა ნახევარფაბრიკატიდან 1 კილო სუფთა კოფეინი მიიღება.

— ასეა, — იცინის თამარი, — ბევრმა არც იცის რა მაცოცხლებელი ძალებია ამ ბუჩქებში ჩამალული. აი „მწვანე ჩაი“, რომელსაც ახლა ჩვენი ფაბრიკა ამზადებს, უამრავი სამკურნალო თვისებებითაა საყურადღებო, უხდება გულსა და სისხლძარღვებს, კოლიტსა და წნევას. ძალიან სასიამოვნო სასმელია, განსაკუთრებით ზაფხულში, გაცივებული, მომჟაო კანფეტთან ერთად.

25 წელია თამარ სურგულაძე მახარაძის რაიონის ნასაკირალის ჩაის ფაბრიკის დირექტორია. 25 წელია ახალგაზრდული გატაცებით შრომობს იგი.

აბა, ჰკითხეთ, ზეპირად გეტყვით, რომელ მანქანას როდის რა ნაწილები გაუფუჭდა. ან როდის მოახდინეს მისი რეკონსტრუქცია. გეგმები, ხომ საკითხავი აღარ არის. გეგმების დროულად შესრულება ამ ფაბრიკის ტრადიციაა და არც უღალატებენ ალბათ.

ნ. სიმონიძე

## კოსმონავტებს

(ანდრიან ნიკოლაევს)

ტულში ტკბილად ჩაიღვრება,
მაგ სამი ძმის მაყრული,
ცისფერ ნოხებს ძირს გაგვიშლის
ზეცა გადახატული!
წამიყვანე ვარსკვლავებთან,
ყველა ქალის ჯინაზე,
მაყრად სამი ძმა მეყოფა,
ჯილდოდ – ჩემი სინაზე!
ვარსკვლავების ძმადნაფიცო,
ქართლში გელის ასული,
მსურს ვისმინო მთვარის ლოცვა,
კოსმიური მაყრული!

## მთას ცა უყვარდა

მოვარდა ქარი სტვენით, ხმაურით,
მთას შეაფხრიწა ნისლის მანდილი,
მერე ასტეხა აურზაური —
ავისრულეო გულის წადილი.
მთამ თავხედს თავი არ გაუკადრა,
წყენა ჩაიკლა გულში ფარულად,
მთას ხომ უძირო ზეცა უყვარდა,
მისი მიძღვნილი ნისლი ეშურა.

* * *

ცას ვარსკვლავები გამოაყარა,
თმებში გაირჭო მთვარე ნამგალა,
მერე მეწვია ლექსი პატარა,
შენ კი რად არა?

* * *

ცა ჩემს მაგივრად იცინის,
ცა ჩემს მაგივრად ნაზდება,
ცა ჩემს მაგივრად ტირის და,
ცა ჩემს მაგივრად ბრაზდება.
ცაო, დამშვიდდი, ჰე ცაო,
ლაჟის ვიწვიმო მეცაო!

## პიონები

აფეთქდებიან სიყვარულივით,
უმზერენ ტრფობით გათანგულ წყვილებს,
აუწითლდებათ მერე ლოყები
და დარცხვენილნი ხვდებიან დილას.

ლილი ჯაფარაშვილი

წაჩი თარგამაძე

* * *

დარდებმა დაიწყეს დავლური,
დარდი ვის გავუყო...
შეგხედავ, — სახეს მწვავს ალმური,
რა ვუყო!

დიდდება ფიქრების ფერდობი,
ო, კარგო, სხეთო,
ვისთან ვთქვა, თავსაც ვერ ვენდობი,
ვის ვენდო?!

ვაი თუ მამხილეს თვალებმა,
რაც გულში გავივლე.
დამეხსოს თვალებში თავნება,
ვაი, მე!

გულს უნდა ფარულად, ფაქიზად
გაცვაროს თავისთვის.
თავნება თვალებში თავისას
არ იმალის.

გურამ ორჯონიკიძე

## ქარი და ქოლგა

ზუ-ზუ, ზუ-ზუ, ზუ-ზუ,
ქარი ქროდა, ქროდა
და ხელიდან უცებ
გამომტაცა ქოლგა.
ხომ არ დაიხურავს,
რად უნდოდა, ნეტავ?!
დამიბრუნოს ქოლგა, —
გაჯავრდება დედა.

ცირა ქიტიაშვილი

## ტყუპები

რაზე რამეს გააფუჭებს
თამაზს ეჩხუბებიან.
ზოგჯერ ტყუპებს ვერ არჩევენ
ბაბუა და ბებიაც.
ვინ იქნება დამნაშავე
ახლა ხომ მიხვდებიან —
შეხეთ, თამაზს ცხვირზე ხალი
წამოუსკუპებიათ.

ლიდა სტვილია

## შვილიკო და დათვი

დათვმა რომ არ წამაქციოს
მე, პატარა ფალავანი,
მუთაქებით, ბალიშებით
გამიშენეს გალავანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მილიციის ლეიტენანტი

პატარა ნათელ ოთახში, რომლის ფანჯრები მტკვრის სანაპიროს გადაჰყურებენ, საწერ მაგიდას უზის მოხდენილი ტანის შავგვრემანი ქალი. სამუშაო დღე კარგა ხანია დამთავრდა, მაგრამ ის მაინც ზის და ფიქრებში გართული ფურცლავს გაცრეცილ ქაღალდებს, საიდანაც ნაცნობი ადამიანების სახეები უყურებენ.

„ძვირფასო დორა პეტროვნა! ბავშვობიდან დაობლებულ ბედშავ გოგონას პირველად თქვენ მაგრძნობინეთ მშობლიური სითბო და სიყვარული... არ ვიცი, როგორ გამოვთქვა თქვენდამი ღრმა პატივისცემის გრძნობა. უკვე წელიწადზე მეტია არ მინახავს თქვენი ნათელი სახე, არ მსმენია თქვენი ტკბილი, მზრუნველი ხმა. ნეტავ ათიოდე წუთით მაინც მამყოფა თქვენთან“.



წერილს ხელს აწერს ლიდა ტეველიევა. ქალი იდაყვებით ეყრდნობა მაგიდას და იგონებს წარსულ ამბავს:

...იმ დღეს თბილისის მილიციის სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების თანამშრომელი, არასრულწლოვანთა საქმეების უფროსი ოპერრწმუნებული, მილიციის ლეიტენანტი დორა პეტრეს ასული კატუკია მოგვიანებით გამოვიდა კაბინეტიდან, ნელი ნაბიჯებით გადაჭრა ერეკლეს მოედანი, გაიარა ძველი თბილისის ქუჩაბანდები და კოლმეურნეობის მოედანზე გავიდა. ჩვეულებრივ მაშინაც მილიციის ფორმა ეცვა დორას. საღამო ხანი იყო. ქუჩაში აუარება ხალხი სეირნობდა. ანაზდად მუხრანის ხიდთან დორამ თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლის ქერათმიანი გოგონა დაინახა. იგი გაქვავებული იდგა ხიდის მოაჯირთან და თვალებგაშტერებული დაჰყურებდა ამღვრეულ მოდიდებულ მტკვარს.

დორა მასთან მივიდა.

— აქ რას უდგეხართ?..

ქალიშვილს არც კი შეუხედავს მისთვის. მას არაფერი ესმოდა, გარდა წყლის ხმაურისა.

დორამ მკლავზე მოჰკიდა ხელი, თვალებით მიუალერსა და ბევრი ხვეწნის შემდეგ სახლში გაიყოლია...

მძიმე ბავშვობა ჰქონდა პატარა ლიდას. მშობლები სამამულო ომში დაეღუპა და უფროს ძმასთან ერთად ცხოვრობდა ლვოვში. ძმა ერთი უსულგულო, დაუნდობელი კაცი იყო, ცუდ წრეში ტრიალებდა და ბნელ საქმოსნებთან ჰქონდა კავშირი. ყოველ საღამოს გალეშილი ბრუნდებოდა შინ, ხშირად სცემდა და აწამებდა პატარა ლიდას, აიძულა სწავლისათვისაც მიენებებინა თავი. შეუძლებელი გახდა მასთან ერთად ერთ ჭერქვეშ ცხოვრება... ლიდას კი აბა რა შეეძლო! ერთ დღეს იგი სახლიდან გაიპარა და მოხეტიალე ცხოვრება აირჩია. დადიოდა ქალაქიდან ქალაქში, მილიციელებს კი თავს არიდებდა, რადგან ისინი ყველაზე დაუნდობელი ხალხი ეგონა. მერე თბილისშიც ამოჰყო თავი, გაზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს, როცა ირგვლივ ყველაფერი საოცრად ლამაზი და მომხიბლავი იყო, ხოლო ხალხი ბედნიერი, კმაყოფილი სახით სეირნობდა ქუჩაში, გოგონა ჩაუფიქრდა თავის ყოფას, ზედმეტ, უბედურ არსებად ჩათვალა თავი...

იმ საღამოს დორამ თავის სახლში მიიყვანა ლიდა, კუთხე მიუჩინა და სანამ საერთო საცხოვრებელში მოაწყობდა, საკუთარ შვილებში არ არჩევდა. დორას ნაზმა, ადამიანურმა მოპყრობამ მალე დაუბრუნა სიხარული და სიცოცხლის ხალისი ლიდას. მერე სკოლაც დაამთავრა და ფაბრიკაში დაიწყო მუშაობა. ამჟამად კი საბჭოთა საზოგადოების ერთ-ერთი ღირსეული წევრია, მეუღლესთან ერთად ცხოვრობს და მუშაობს მშობლიურ ქალაქში და უმაღლეს სასწავლებელშიც სწავლობს.

აგონდება დორას ვინმე ლუკიანოვა, საეჭვო წარსულის მქონე პიროვნება, ბოროტმოქმედი და მრავალჯერ ნასამართლევი, რომელიც მცირეწლოვან ბავშვებს იყენებდა შემოსავლის წყაროდ. იქნებ თქვენც შეგხვედრიათ თბილისის ქუჩებში ან ტრამვაიში ათიოდე წლის შავთვალწარბა გოგონა. იგი ტკბილი, მაგრამ ნაღვლიანი ხმით მღეროდა და მოწყალებას ითხოვდა. ცამეტი წლის ლუდმილას კი ხელში პატარა ძმა ეჭირა და ასე აცოდებდა თავს ხალხს. საღამოობით ლუკიანოვა შინ არ შეუშვებდა ბავშვებს, თუ თვითეული მათგანი ათ მანეთზე ნაკლებს მიუტანდა. თვითონ კი ლოთობდა, აღვირახსნილ ცხოვრებას ეწეოდა და გულში დასცინოდა გულუბრყვილო ხალხს. „თბილისში ჩამოდით, — სწერდა იგი თავის მეგობარს.—აქ ბლომად შეიძლება ფულის გაკეთება“. როგორ არ დასწერდა ამას, როცა შემნახველ სალაროში ათეული ათასი მანეთი ენახებოდა.

ლუკიანოვა პასუხისგებაში იქნა მიცემული, ხოლო პატარები სკოლა-ინტერნატში მოათავსეს. თვეში ერთხელ უთუოდ შეივლის ხოლმე დორა ინტერნატში და გული სიხარულით ევსება, როცა კოხტად ჩაცმულ საღიმოლიმარე გოგონებს დაინახავს. ისინი ბეჯითად სწავლობენ და სულ მალე დამოუკიდებელი ცხოვრების გზაზე გამოვლენ...

დორა შემდეგ წერილს ათვალიერებს. აი რას სწერს ერთი მშობელი:

„ბოდიშს ვიხდი, რომ ხელმეორედ გაწუხებთ, მაგრამ ბოლო დროს თემური ისევ ამოვარდა კალაპოტიდან... გეთაყვა, გთხოვთ დაიბაროთ და ესაუბროთ. ჩემს შვილს თქვენი უფრო სჯერა, ვიდრე ჩემი“.

უხარია დორას ასეთი ნდობით რომ ეკიდებიან. თუმცა ყველა როდი იქცევა ასე. ისინი, რა თქმა უნდა, საქმეში ჩაუხედავი ადამიანები არიან. პირველად ხომ მასაც მცდარი შეხედულება ჰქონდა მილიციაზე.

ჩვიდმეტი წლის გოგონა იყო დორა, 1937 წელს ხარაგოულის რაიონის სოფელ ლახუნდარადან თბილისში რომ ჩამოვიდა და პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში მოეწყო ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე.

იგი კომკავშირელი იყო და სწორედ კომკავშირის საგზურით გაუშვეს ქალაქის მილიციის სამმართველოსთან არსებულ ბიბლიოთეკაში ლენინის კუთხის გამგედ.

სამმართველოს ეზოში რომ შევიდა და ერთ სწორ ხაზზე გაჭიმული ჩაფხუტიანი მილიციელები დაინახა, უკან დაბრუნება გადაწყვიტა. მის თვალში მილიციელები უხეში, მკაცრი და შეუბრალებელი ადამიანები იყვნენ. რაიკომის მდივანს განუცხადა, არამც და არამც არ შემიძლია მილიციელებთან მუშაობა, სხვაგან გამიშვითო. რაიკომის მდივანს გაეცინა: ერი დღე გაჩერდი და თუ არ მოგეწონოს, მერე გაგიშვებთ სადაც მოისურვებო. ხანი გავიდა და დორა დარწმუნდა, რომ მილიციელები გულისხმიერი, ჭკვიანი და მამაცი ადამიანები იყვნენ. ერთი მათგანი, იასონ მარგიევი, მისი ცხოვრების თანამგზავრი და მეგობარი გახდა. 1939 წელს დორამ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში განაგრძო სწავლა ფილოლოგიურ ფაკულტეტზე. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად მუშაობდა ჯერ მაიაკოვსკის რაიონში, ხოლო შემდეგ თბილისის 106-ე საშუალო სკოლაში. 1944 წელს პირველი მაისის რაიონის მილიციის განყოფილებაში — ბავშვთა ოთახის ინსპექტორად დაიწყო მუშაობა. იმავე წელს დორამ საკავშირო იურიდიული ინსტიტუტის საქართველოს ფილიალში განაგრძო სწავლა, ინსტიტუტის წარმატებით დამთავრების შემდეგ, 1949 წელს დააწინაურეს და ქალაქის მილიციის სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილებაში გადაიყვანეს სამუშაოდ, არასრულწლოვანთა საქმეებზე ოპერატიულ რწმუნებულად, ხოლო შემდეგ უფროს ოპერატიულ რწმუნებულად. ამ დღიდან მოყოლებული დორა წარმატებით უძღვება თბილისში ბავშვთა უზედამხედველობისა და დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრიად საპასუხისმგებლო საქმეს.

უკვე გვიანაა, დორა ქაღალდებს უჯრაში ინახავს და კაბინეტს სტოვებს. ჩქარი ნაბიჯებით ჩადის კიბეზე, გადასჭრის ერეკლეს მოედანს და მიჰყვება ნაცნობ ქუჩას. მისი ფიქრები ახლა თავს დასტრიალებს შვილებს, ოჯახს.

ი. ჯაჯეიშვილი

# მარიამ მოსეშვილი



ვინ იცის, რამდენი ფიქრი და დარდი უძღოდა წინ უცხო მხარეში მის გამგზავრებას...

არა, დედა როდი ეწინააღმდეგებოდა. ცხოვრების ავკარგის მცოდნე დარბაისელმა ქართველმა ქალმა კარგად იცოდა ცოდნის ფასი, მაგრამ ჰაერში თოფის წამლის სუნი ტრიალებდა და ეფიქრებოდა, ბევრი რამის ეფიქრებოდა...

მაგრამ ურყევი იყო მარიამის გადაწყვეტილება: ახალგაზრდა ქალს მტკიცედ სურდა სამედიცინო განათლება მიეღო, რომ ადამიანისათვის ტკივილები დაეამებინა, სალბუნი დაედო, ახალი სიცოცხლის, ახალი ადამიანის დაბადების მძიმე წუთები შეემსუბუქებინა სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე მყოფ დედისათვის. იმჟამად საქართველოში საფერშლო და საბებიო სასწავლებლები არ არსებობდა და მარიამიც ხარკოვს გაემგზავრა ცოდნის შესაძენად.

ოთხი წლის შემდეგ, 1916 წელს მარიამ მოსეშვილმა წარმატებით დაასრულა ხარკოვის საფერშლო და საბებიო სასწავლებლები და სამშობლოში გამოემგზავრა. იმავე წელსვე ქალაქ ჭიათურაში დაინიშნა ფერშლად.

დღეს უკვე ღვაწლმოსილ მუშაკს გუშინდელივით ახსოვს მაშინდელი ჭიათურა. ორი ექიმი და სამი ფერშალი ებრძოდა მაშინ ადამიანების არამარტო სნეულებებს, არამედ მათ უმეცრებასა და სიბნელეს. ისინი მუდამ ხალხში იყვნენ, მათ ედგნენ მხარში და მკითხავ-ექიმბაშთა ბრჭყალებისაგან ათავისუფლებდნენ.

46 წელი შესწირა მ. მოსეშვილმა გინეკოლოგიაში მუშაობას და ვინ დათვლის, ამ წლების მანძილზე მისი ხელით რამდენ ასეულ სიცოცხლეს მიეცა საგზური, რამდენმა დედამ განიცადა დედობის ბედნიერება. წლების მანძილზე, თავისი მუშაობის თითქმის ნახევარ საუკუნეში მას არცერთი მშობიარე არ დაღუპვია, არცერთი ახალშობილისთვის არ დაუხშვია ცისიერი. ეს კი უდიდესი ბედნიერებაა თავის საქმეზე ჭეშმარიტად შეყვარებული ადამიანისათვის.

მარიამ მოსეშვილს არამარტო მრავალი მედიცინის დის პროფესიულ დაოსტატებაში მიუძღვის წვლილი: ბევრ ექიმსაც კი სათაკილოდ არ მიაჩნია გაიზიაროს ის დიდი გამოცდილება, რაც მრავალი წლის შრომით დააგროვა ამ მადლიანმა ქალმა. სამედიცინო დარგში ხანგრძლივი და უმწიკვლო მუშაობისათვის მის მკერდზე ლენინის ორდენი ბრწყინავს და ამ დიდი ჯილდოთი შთაგონებული, კვლავ ახალი კეთილშობილი საქმეებისათვის იბრძვის ადამიანის სიცოცხლისა და ბედნიერების ეს ღვაწლმოსილი მუშაკი.

არა, მარტო წლებმა კი არა, დღედაღამ დაძაბულმა მუშაობამ, ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად წარმოებულმა ორთაბრძოლამ დაუღარა და გაუმკაცრა სახე მარიამს, მაგრამ ამ მკაცრი ნაკვთების და ღარების მიღმა არის სული ნამდვილად სპეტაკი ადამიანისა, რომელიც მთელი გატაცებით, მთელი არსებით ემსახურება საყვარელ საქმეს და უანგაროდ, ჩუმად და უხმაუროდ სწირავს ყველაფერს, რაც კი ძვირფასად და წმიდათაწმიდად მიაჩნია. ამ შრომაში, ამ ჩუმ წვაში გრძნობს იგი ჭეშმარიტ ბედნიერებას, თავისი მოწოდების სიდიადეს. ასეთად იცნობენ მარგანეცის ქალაქის, ჭიათურის მშრომელები მარიამ მოსეშვილს.

ბაბი ბარბაქაძე,
ჭიათურა.

# რა გაგვახარა, რა გვაწყენინა...



თბილისის 51-ე საშუალო სკოლის სასაუზმე საპირფარეშოს გვერდით არის მოთავსებული და აქაც ბავშვები ფეხზე მდგომი საუზმობენ.



თბილისის 89-ე საშუალო სკოლაში შესვენების დროს მოსწავლეები კეთილმოწყობილ სასაუზმეში ცხელ საუზმეს მიირთმევენ.



ახალი კომფორტაბელური სასტუმრო „აფხაზეთი“ სტუმრების მოწონებით სარგებლობს. თანამედროვე ავეჯით მოწყობილი ოთახები დასვენების კარგ პირობებს ქმნის.



სტუმართმოყვარე თბილისს სასტუმროები მაინც არ ჰყოფნის. სასტუმროებში ხშირად ნახავთ ბარგზე ჩამომჯდარ, დაღონებულ სტუმარსაც, რომელიც იმის ფიქრშია, თუ სად წავიდეს, სად გაათიოს ღამე.



ყველა თბილისელი ბავშვი სიხარულით შეხვდა საბავშვო კინოთეატრის „ნაკადულის“ გახსნას. ბავშვებს ოცნება აუხდათ. ახლა ისინი ყოველთვის ნახავენ მათთვის განკუთვნილ ფილმებს.



წელს შესანიშნავი საჩუქარი მიიღეს ჩვენი დედაქალაქის დიასახლისებმა — ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით მოწყობილი საზოგადოებრივი სამრეცხაო პავლოვის ქუჩაზე.

ქალაქის სხვადასხვა რაიონებში გაიხსნა გასარეცხი თეთრეულის მიმღები პუნქტები.

თქვენ შეგიძლიათ ტელეფონით დაურეკოთ და პირდაპირ ბინაზე მოგაკითხავენ ნაბმარი თეთრეულის წასაღებად. სულ მოკლე ხანში კი დაგიბრუნებენ გაქათქათებულს, გახამებულს და გატკეცილს.

თუმცა... ნუ აჩქარდებით. დარეკვისაგან ჯერჯერობით თავი შეიკავეთ. დიდი ხნის ნანატრი სამრეცხაო არის, მაგრამ არ არის წყალი და 700 კილოგრამი თეთრეულის ნაცვლად სამრეცხაო ცვლაში ზოგჯერ 1 კილოგრამსაც ვერ რეცხავს.

რა გაეწყობა, ცოტა კიდევ მოვითმინოთ. ვნახოთ, რას მოგვიტანს ახალი, 1968 წელი...

# რამ გაგვახარა,



წელს თბილისში ბევრი ახალი სახლი აშენ-და. წლის ბოლომდე საექსპლოატაციოდ 140 ათასამდე კვადრატული მეტრი ფართობი ჩა-ბარდება. ეს არც თუ ისე ცოტაა.



ახალი ბინის მიღების მოლოდინში ბევრი თბილისელი გულდაწყვეტილი დარჩა. აბა, როგორ არ დაწყდებათ გული, როცა ხედავენ, რომ სახლის მშენებლობა ბედის ამარა არის მიტოვებული.

ფოტორეპორტაჟი დ. იაკობაშვილის



ჩვენი ბავშვებისათვის ვაჟა-ფშაველას პრო-სპექტზე ახალი საბავშვო ბაღი გაიხსნა. კარ-გად მოწყობილი ოთახები, მზიანი აივნები ბავშვების სამსახურშია ჩაყენებული.

ფურცელაძის ქუჩაზე საბავშვო ბაღად ნა-ხევრად სარდაფის ტიპის შენობაა გამოყენე-ბული. უჰაერო, ბნელი ოთახები, მტვრიანი ქუჩისაკენ გამავალი ჩამონგრეული ფანჯარა-კარგ გუნებას როდი შეუქმნის პატარებს.



# რამ გვაწყენინა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ერკეთელი ქალიშვილი

1. ულენტი გრიშა — თავმჯდომარე

2. როინიშვილი კატუშა — თავმჯდომარის მოადგილე

3. რამიშვილი ამბროსი — პროპაგანდისტი

4. ნინიძე კობა — მდივანი

5. ჯინჭარაძე ხარიტონ — ხაზინადარი

ისინი იყვნენ ჩოხატაურის არალეგალური კომკავშირული რაიონული კომიტეტის პირველი წევრები...

ისინი იყვნენ საქართველოს კომკავშირის პირველი მერცხალთაგანნი...

* * *

სულმოუთქმელად ელოდნენ ბავშვები, როდის არეკდა დედა კეციდან სანატრელ მჭადს...

შებოლილ სამზადში ყველა ნასვრეტი ამოეგლისა მჭვარტლს, ბოლს გასასვლელი არსად ჰქონდა და იქვე ტრიალებდა. ბავშვები მჯიღით იწმენდნენ ცრემლს.

ჭერიდან ჩამოშვებული რკინის ჯაჭვი მიწას სამი მტკაველით იყო აცილებული. ჯაჭვზე სამზადის კედლებივით შავად შემურული კარდალა ეკიდა. ზოგჯერ, როცა შაქარი გამოჩნდებოდა, ვასასი ჩაიდანსაც მიაკიდებდა ხოლმე ჯაჭვს... და იწყებოდა ბავშვების შეჯიბრება სულის ბერვასა და ხვრეპაში.

მაგრამ შაქრის სახსენებელი უკვე კარგა ხანია გაქრა ერკეთში. ამიტომ ჩაიდანსაც არავინ აქცევდა ყურადღებას. იგი სხვა გაცვეთილ ჭურჭელთან ერთად ეგდო ნალიის ქვეშ.

ვასასიმ საკეცეს წამოავლო ხელი, ნაღვერდალი გადაქექა. დამწვარი წაბლის ფოთლებმა საამო სურნელი მიმოფანტეს სამზადში. პატარა ფილიმონი ნერწყვს ყლაპავდა.

—მიხაკო! — დაიძახა ვიღაცამ გარედან.

— ვინაა, ნეტავი? — გაუკვირდა ვასასის. კატუშამ დედას დაასწრო და გარეთ გავარდა.

— მობრძანდით, ბატონო, — გასძახა სტუმარს.

— რომელი ხარ შენ? — კითხა მოსულმა, რომელსაც სახეს გულდაგულ შემოხვეული ყაბალახი უმალავდა.

— მე... მე კატუშა ვარ.

— მამა სახლშია, ბიძია?

— არ მოსულა სათოხარიდან.

— აბა, რომ მოვიდეს, ასე უთხარი — ნოე კობიძე იყო თქვა.

მამა შორს იყო წასული. მამა ძალიან ადრე მიდიოდა იმიტომ, რომ დიდი გზა ჰქონდა გასავლელი, ზოგჯერ იქვე, მთაში ათენებდა ღამეს, შეიძლება დღესაც არ მოსულიყო.

— შეიძლება დღეს... — სათქმელი პირზე შეაცივდა კატუშას. სტუმარი აღარ იდგა ღობესთან, სიბნელეში გაუჩინარებულიყო.

* * *

ბავშვები ერთმანეთის გვერდი-გვერდ იწვნენ. ფილიმონი ჭირვეულობდა, ტრიალებდა ლოგინში, არ იძინებდა. კატუშამ ზღაპრის მოყოლა დაიწყო.

„იყო და არა იყო რა“...

ფილიმონმა თვალები მილულა...

მეორე ოთახში დაბალ სუფრაზე ვასასის ვახშამი გაეშალა ქმრისათვის.

მამას პერა[illegible]ი მხარზე გადასკდომოდა, უჩანდა მზისაგან დამწვარი კანი.

— ნოე კობიძე იყო დღეს შენთან.

მიხეილი ფეხზე წამოიჭრა.

— როდის?

— როდის და, კაი ერთი საათი იქნება.

მიხეილი სკამზე გადაკიდებულ ხალათს დასწვდა და სწრაფად გადაიცვა. ქამარს რომ ირტყამდა, საყვედურით უთხრა ცოლს:

— აქამდე ვერ მითხარი?

— გეჭამა რამე...

კატუშა ლოგინიდან წამოდგა, ცნობისმოყვარეობამ მოსვენება დაუკარგა. რატომ მოვიდა ნოე კობიძე? სად წავიდა მამა შუაღამისას?

ბევრი ფიქრის დრო აღარ იყო, კაბა გადაიცვა და უკან კარიდან შარაზე გავიდა. მოშორებით ისმოდა მამის ფეხის ხმა.

* * *

მამის კვალმა ტყეში მიიყვანა. ბებერი მუხის ქვეშ ვიღაცეებს მოეყარათ თავი და ხმადაბლა ბაასობდნენ. წინ წასვლა აღარ შეიძლებოდა, შეამჩნევდნენ. კატუშას ისე უცემდა გული, თითქოს საბუდრიდან ამოვარდნას ლამობსო. გოგონას შეეშინდა გულისცემამ არ გამცესო, ასკილის ბუჩქებს მიეფარა და ხელები გულზე მიიკრა.

— აღარაა საშველი, ასე ცოცხლად დამარხვა გაგონილა?...

კატუშამ უფროსი ძმის ვასილის ხმა იცნო.

— აღარ შეიძლება გულხელის დაკრეფა, მოქმედებაა საჭირო, ამხანაგო ვასილ, მოქმედება!

ეს ხარიტონ ჯინჭარაძე იყო, კატუშას სკოლის ამხანაგი და ძმობილი.

მიხვდა ქალიშვილი, რომ რაღაც დიდმა და მნიშვნელოვანმა ამბავმა შეჰყარა კაცები ამ შუაღამისას ბებერი მუხის ქვეშ.

— ამხანაგებო!

ეს ხმაც იცნო კატუშამ, ვეღარ მოითმინა და თავი ამოჰყო ბუჩქებიდან. ბუჩქი სიმაღლეში ჯაბნიდა, ფეხის ცერებზე აიწია, ხელები ეკლიან ტოტებს ჩაავლო, ტკივილი არ უგრძვნია... მთვარის შუქი ეპარებოდა ბებერი ცაცხვის გაფარჩხულ ტოტებს და კატუშა ხედავდა თავისი ბიძის, მგზნებარე ბოლშევიკის გრიგოლ მგალობლიშვილის შევერცხლილ თავს.

— მენშევიკების უბადრუკმა მთავრობამ განადგურებამდე მიიყვანა ქვეყანა. აღარ შეიძლება მოცდა, საჭიროა შეიარაღებული აჯანყების მომზადება, ამხანაგებო! ჩვენი ამოცანაა...

* * *

სოფლის შვიდი კლასი დაამთავრა კატუშამ იმ წელს. დაამთავრა წარჩინებით. საშუალოში არ მიიღეს — ბოლშევიკის შვილიაო. რომ მიეღოთ კიდეც, მიხაკო როინიშვილს სად ჰქონდა იმის შეძლება, შვილი ჩოხატაურის სკოლაში ეტარებინა, ოჯახს მჭადი არ ჰყოფნიდა საჭმელად, ანდა ვის ჰქონდა სამყოფი მჭადი ერკეთში?...

კატუშა ფიქრობდა...

ცაცხვის ძირში ლაპარაკობდნენ შეიარაღებულ აჯანყებაზე. მამა აჯანყების ერთ-ერთ თავკაცად აირჩიეს.

ვარსკვლავები გაუფერულდნენ ცაზე, მთვარემაც დაკარგა სიკაშკაშე, რიჟრაჟი ეპარებოდა ღამეს.

კატუშა ფიქრობდა...

კრებულმა ცაცხვის ძირში დაშლა იწყო. ჯერ გრიგოლ ბიძია წავიდა, მერე მამა, მერე ვასილი. ნოე კობიძე აღმა აჰყვა ტყეს, სახე ისევ შებურული ჰქონდა ყაბალახით.

ყველანი რომ წავიდ-წამოვიდნენ, კატუშა მაშინ მოშორდა საფარს.

— სდექ! — ვიღაცის მკაცრი შეძახილი მოესმა და ადგილზე გაქვავდა.

ხარიტონი იყო. ხელში გრძელლულიანი მაუზერი ეჭირა. კატუშა რომ იცნო, გაოცებისაგან თვალები შუბლზე შეაჯდა:

—ჭაჭულია! საიდან გაჩნდი აქანა, ცა?.

კატუშამ პირდაპირ თვალებში შეხედა ძმობილს.

— ხარიტონა ძამა, მენშევიკებს რომ მოვიშორებთ, ყველა შეძლებს სწავლას?

ხარიტონი არ მოელოდა. ჯერ დაიბნა, გაშიშვლებული მაუზერი ხელიდან ხელში გადაინაცვლა, მერე ხალათის ქვეშ მოუძებნა ადგილი და სიცილი შესკდა.

— რას იცინი, რას? — ეწყინა კატუშას, — ბაღანა ვარ თუ?

— არ გეწყინოს, დაია. ჯაშუში მეგონე და შენ რომ შემრჩი ხელში...

— მითხარი ახლა რასაც გეკითხები!

ხარიტონი არ აპირებდა პასუხის გაცემას. მისი შავი თვალები იყურებოდნენ სადღაც შორს, მერე თითქოს საკუთარ თავს ელაპარაკებაო, თქვა:

— ერკეთში რომ ახალგაზრდული ორგანიზაცია ჩამოვაყალიბოთ, ხომ იქნება კარგი, ჭაჭულია, ჰა?

* * *

გრილი იყო 1918 წლის ზაფხული. მზე ნაკლებად გამოიხედავდა ხოლმე ღრუბლებიდან. განუწყვეტლივ წვიმდა.

ყველაფერ სიავეს ზედ ბუნების სიკერპეც დაემატა.

— ასე თუ გაგრძელდა, ბაბაია, ამოვწყდებით შიმშილით და ის იქნება, — ამბობდა ას წელს მიღწეული გლახუნა ბაბუა.

იზაბელას მტევნებს ფერისცვალებასაც ვერ შეამჩნევდა კაცი, ივლისის მიწურულში ისევ ისრიმად იყო დარჩენილი. არც სიმინდს უჩანდა კარგი პირი.

— რა ვქნათ, რა გვეშველება, თუ იცი... — ერთმანეთს ეკითხებოდნენ ყოველ საღამოს სოფლის მოედანზე თავმოყრილი ერკეთლები.

— წერილი გავუგზავნოთ მთავრობას.

— ნალიაში რომ არ დაგვეტევა იმათი გამოგზავნილი, რას შობი მერე, ამ წვიმაში ალპობ?

იუმორი ამ გაჭირვების დროსაც არ ღალატობდა გურულ გლეხს.

სახურავჩამომპალი სოფლის სკოლის ერთ-ერთ ოთახში კი ამ დროს სულ სხვა ლაპარაკი იყო. აქ თავი მოეყარათ რევოლუციურად განწყობილ ახალგაზრდებს.

„ჩემი ამხანაგების, ჩემი ხალხის წინაშე ფიცს ვდებ, რომ ვიქნები რევოლუციის საქმის ერთგული, ბოლშევიკური პარტიის ერთგული და თუ საჭირო იქნება, შევწირავ მის სიძლიერეს საკუთარ სიცოცხლეს“...

კატუშა ფიცს დებდა. მის ფართოდ გახელილ თვალებში ჩამდგარიყო ისეთი სიმტკიცე, ვაჟკაცსაც რომ დაამშვენებდა.

— შემოგვფიცე, რომ...

წინა კარმა გაიხმაურა, გოგიტა გორდელაძემ ოთახში მყოფ ამხანაგებს მოავლო თვალი. კარის ხმაურს ფეხის ხმა მოჰყვა. გოგიტამ ჯიბისკენ წაიღო ხელი...

კატუშამ მამას და უფროს ძმას რომ მოკრა თვალი, შეკრთა, თითქოს შეშინდა კიდეც.

* ვასილ როინიშვილი — შემდეგში ცნობილი პარტიული მუშაკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ასე გაუფრთხილებლობა გაგონილა? — წარბები შეკრა მიხაკომ.

— ჯერ მოულოცე, ყაზახო, საყვედურებს მერეც მოესწრები, — ოთახში გრიგოლ მგალობლიშვილი შემოვიდა და შემკრთალ ახალგაზრდებს სათითაოდ ხელი ჩამოართვა.

— კარგი საქმე გითავებიათ, მომილოცავს, — კატუშას ხელი გადახვია და შუბლზე აკოცა, — შენ, ჩემო ბიძიკო, ახალი დროის როზა ლუქსემბურგი ხარ.

კატუშამ მამას შეხედა, მიხაკო იღიმებოდა, გულიდან თითქოს დიდი ლოდი მოშორდა, თავისუფლად ამოისუნთქა და თვითონაც გაიღიმა...

— გოგიტა!

— გისმენთ, ამხანაგო გრიგოლ!

— შენ და კატუშა ჩოხატაურში წახვალთ. იქ ბორის ძნელაძეს და პანტელეიმონ ჩხიკვაძეს* ნახავთ. დანარჩენი მათ იციან.

კატუშამ გოგიტას შეხედა. თვალები ანთებოდა გოგიტას. კისერთან თითის სიმსხოზე დაბერვოდა ძარღვი.

* * *

მათი შეხვედრა ჩოხატაურის ერთ განაპირა სახლში მოხდა. პატარა ოთახი ძლივს იტევდა დელეგატებს ხიდისთავიდან, ფარცხმიდან, საჭამიასერიდან...

იატაკქვეშელთა პირველი კრება პანტელეიმონ ჩხიკვაძემ გახსნა. მან მოკლედ დაახასიათა თავშეყრის მიზეზი და სიტყვა ბორის ძნელაძეს მისცა. ბორისი ლაპარაკობდა დინჯად. თვითეულ სიტყვას გამოთქვამდა მკაფიოდ, შთამაგონებლად.

ბორისი ლაპარაკობდა ახალგაზრდული ორგანიზაციის მნიშვნელობაზე და მის როლზე ბოლშევიკური პარტიის ბრძოლის საქმეში.

— ჩვენი ვალია მხარში ვუდგეთ ჩვენს სახელოვან ბოლშევიკურ პარტიას, ვიყოთ მისი აქტიური თანაშემწე და საიმედო დასაყრდენი. განსაკუთრებული პასუხისმგებლობა გვეკისრება ჩვენ, აქ თავმოყრილ ამხანაგებს იმიტომ, რომ ჩვენ ვართ პირველები... პირველმა მერცხალმა კი უეჭველად უნდა მოიყვანოს გაზაფხული...

გოგიტა გორდელაძე და ხარიტონ ჯინჭარაძე მეთვალყურეებად იყვნენ გარეთ.

ერკეთელი მხოლოდ კატუშა იჯდა კრებაზე. სულგანაბული უსმენდა და იმახსოვრებდა თვითეულ სიტყვას.

კრება გვიან ღამით დამთავრდა.

კრებამ აირჩია ახალგაზრდული ორგანიზაციის პირველი რაიონული კომიტეტი და დასახა მუშაობის ფართო გეგმები.

* * *

დღეები დღეებს მიჰყვებოდა...

სულ უფრო და უფრო გააქტიურდნენ კომკავშირელები.

„მადა ჭამაში მოდისო“ ნათქვამია. მათ ახლა მარტო პატარა საქმეები აღარ აკმაყოფილებდათ და მიილტვოდნენ დიდისკენ. არც იყო გასაკვირი, რადგან 1919 წლისთვის ისინი უკვე სერიოზულ ძალას წარმოადგენდნენ.

კატუშამ დავალების შესაბამისად სწავლა განაგრძო ჩოხატაურის გიმნაზიაში და გაშალა ფართო მუშაობა გიმნაზიელთა შორის. სულ მალე გიმნაზიაშიც ჩამოყალიბდა კომკავშირული ორგანიზაცია.

კატუშა ხშირხშირად დადიოდა ხოლმე ერკეთში დედმამასთან. ეს იმდენად ბუნებრივი იყო, რომ თვით გამოცდილ ჯაშუშს, მენშევიკების დაქირავებულ ლაქიას პაიჭაძესაც კი არ მოსვლია აზრად, რომ ამ ბოლო ხანებში მისი ავტორიტეტის შერყევა უფროსების წინაშე სულ ამ პატარა გოგოს ბრალი იყო.

გახშირდა მიტინგები და მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლები.

როგორც წესი, კატუშა ყოველთვის დავალებებით მიდიოდა ჩოხატაურიდან, მიჰქონდა დირექტივები ერკეთელ ბოლშევიკებთან, წერილები, პოლიტიკური ლიტერატურა, აფრთხილებდა შემჩნეულ ოჯახებს.



ახლაც კატუშა და მისი ამხანაგები—მავრა ჯაყელი და ნატაშა ჯიბუტი მობილიზებული იყვნენ კომკავშირის ჩოხატაურის არალეგარული რაიონული კომიტეტის მიერ აჯანყებაში მონაწილე ოჯახების დასახმარებლად. აჯანყების დაწყება დანიშნული იყო იმ ღამეს.

* * *

ღამე მიხაკო და ვასილი სახლში არ დაბრუნებულან. აჯანყებულები უთანასწორო ბრძოლაში დამარცხდნენ. ბევრი დაიღუპა, ხოლო ვინც გადარჩა, ტყეს მისცა თავი.

შუაღამეს გადაცილებული იყო. კატუშა ხმაურმა გამოაღვიძა. სახლი ზანზარებდა. ეზოში ვიღაცეები ყვიროდნენ, შეშინებული ვასასი კარებს აკვროდა და ვერ გადაეწყვიტა გაეღო თუ არა.

— გააღეთ კარები და დაგვნებდით, თორემ დედაწულიანად ამოგწყვეტავთ! — დაიღრიალა ვიღაცამ და კარებს რაღაც მძიმე დაეძგერა.

— კატუშა, ნენა, მიხედე ბაღანას,—თქვა ვასასიმ და ურდული გამოსწია.

ეზო მუხაშარიას რაზმელებით იყო ავსებული. სახლს ალყა ჰქონდა შემორტყმული. რამდენიმე კაცი შეიჭრა ოთახში.

— სადაა შენი ბოლშევიკი ქმარშვილი! —იყვირა მუხაშარიამ, ცალი წარბი მაღლა ასწია, მათრახის ტარი შუბლთან მიიტანა და კრაველის ბოხოხი უკან გადაიწია. მისმა თვალების ბრიალმა რომ არ გასჭრა, ხმას მოურბილა.

— თუ გვეტყვი, სად იმალებიან, ხომ კარგი, დაგრჩება ცოცხალი ქმარიც და შვილიც, თუ არა და!... — ისევ აუწია ხმას, — სადაც წავასწრებთ, იქ წავაკლავთ საკალანდო ღორივით—ვასასის კვნესა აღმოხდა, კატუშას შეეშინდა.

„არ წამოგცდეს... არ წამოგცდეს, ნენა. ვერაფერსაც ვერ უზამენ, ვერ მიაგნებენ ბაბას, ვერც ვასოიას“, ფიქრობდა იგი და თვალს არ აშორებდა დედას.

— არ ვიცი, ბატონო, სათოხარში იყვნენ წასულები, აქამდეც ქე უნდა ჩამოსულიყვნენ, მარა...

— რა მარა, — არ ისვენებდა მუხაშარია.

— არ დაბრუნებულან... რა ამბავია ჩემს თავს, ბატონო, თუ იცით, ჰა?

კატუშამ თავისუფლად ამოისუნთქა. მიკიბ-მოკიბულმა პასუხმა სულ გააცეცხლა მუხაშარია.

---

* შემდეგში ცნობილი მწერალი.

# თოვს და თოვს მთათუშეთში

— ა! უყურე ახლა ამას შენ! მე მეკითხება მისი ყაჩაღი შვილის და ქმრის ამბავს.

— ყაჩაღები რავა არიან, ბატონო, —თავი გამოიდვა ვასასიმ.

— გაჩხრიკეთ სახლი!

სახლში თავდაყირა დააყენეს ყველაფერი, მაგრამ მამაშვილის კვალს ვერ მიაგნეს.

მეხაშარიამ ხერხი იხმარა, ვასასის უზრძანა წინ გაძღოლოდა რაზმს და ეძახა:

— მიხაკო, ვასო, შვილო... მე ვარ, გამეცით ხმა!

გათენებამდე ისმოდა ტყეში ვააასის ძახილი. მიხაკო და მისი ვაჟიშვილი კი ამ დროს სიმინდის ყანაში სასთუმალს იმზადებდნენ...

* * *

დამარცხება დროებითი იყო.

ერკეთელ ბოლშევიკებს არ შეუწყვეტიათ ბრძოლა. პირიქით, ისინი უფრო გააქტიურდნენ. მაგრამ არც მენშევიკური მთავრობა და მისი მოხელეები ისხდნენ გულხელდაკრეფილები. გაძლიერდა რეპრესიები, სოფლებში მომრავლდა ჯაშუშები, დაიწყო დაპატიმრება.

ბოლშევიკები ღრმა იატაკქვეშეთში გადავიდნენ.

გადიოდა დღეები, თვეები...

ერთ დღეს კატუშა დავალებით ჩამოვიდა ჩოხატაურიდან.

იმ ღამით არალეგალური კრება იყო მოწვეული ცენტრის მიერ და საჭირო იყო თვითეული ბოლშევიკის გაფრთხილება. ვინმეს ეჭვი რომ არ აეღო, კატუშამ ჯერ სახლში გაიარა.

ვასასი სიხარულისაგან კინაღამ გაგიჟდა.

— შენი ჭირიმე, ნენა... რაფერ ხარ, შვილო, შენი ჭირიმე, — იძახდა იგი და თვალცრემლიანი გულში იკრავდა ორი თვის უნახავ ქალიშვილს. დედა-შვილმა მწვანე მოლით დაფარული ეზო გაიარეს და სახლში ავიდნენ.

დედის თვალს გამოცვლილი ეჩვენა შვილი. პატარა ანცი გოგონას ნაცვლად აივანზე იდგა ტანადი, ლამაზ თვალწარბა ქალიშვილი.

— დამენახვე ერთი, ნენა, — ვასასიმ რამდენჯერმე შეატრიალ-შემოატრიალა კატუშა, — დაქალებულხარ, აწი გასათხოვარიც ქე ხარ.

— კაი დედა, რას ამბობ... —ყურებამდე გაწითლდა კატუშა და მზერა ეზოსკენ გააპარა.

დაცარიელებული ეჩვენა მშობლიური სახლი. არ ჩანდა ეზოში მამის ზურგი და დონიერი მკლავები, არც ვასოს მხიარული სიცილი ისმოდა, არც ელიაზარი ჩანდა. სახლი დედისა და პატარა ძმის ანაბარა დარჩენილიყო. გული ეტკინა, ერთხელ კიდევ მოავლო თვალი ყველაფერს და აფაცურდა.

— მე უნდა წავიდე...

— სად, ნენა?... ასე გვიან, — შეიცხადა ვასასიმ.

— უნდა წავიდე, დედა, — წყნარად გაიმეორა კატუშამ და დედას თვალებში შეხედა. ვასასიმ ყველაფერი იგრძნო. კატუშამ ჩაკოცნა ძმა, მერე დედა და კიბეებზე დაეშვა.

— გეჭამა რამე, შვილო, — მიაძახა ვასასიმ, მაგრამ კატუშას არ გაუგონია...

ცხოვრება მიდიოდა წინ. ახალი იმარჯვებდა. ახალი თანდათან ანადგურებდა ძველს. მერე გრიგალმა გადაუარა მთელ საქართველოს და დასტოვა წითელი ფერი.

ორჯონიკიძემ დეპეშა გაუგზავნა მოსკოვში ლენინს:

„თბილისზე ფრიალებს საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა. გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!"

* * *

ისინი იყვნენ პირველთაგანები...
კატუშა როინიშვილი ერთი იმათგანია...

**ო. გოგრონიძე**

დიდი ხანია არ ჩანს სილურჯე ომალოს თავზე. არც ადამიანები ჩანან წერტილებივით ციდან. ცარიელია ომალოს აეროდრომი. თოვს.

აეროდრომთან სასადილოა, გრძელი და დაბალი, ხისგან ნაგები. საკვამურიდან არ ამოდის ბოლი და არც ხინკალი მზადდება ჩამოსულთათვის.

იქვე ახლოს ინტერნატია. ბავშვები სხედან მერხებთან და ხედავენ, როგორ გაუჩერებლად თოვს.

საექიმო უბანში ორი საწოლია დაკავებული. დანარჩენი ცარიელია. ხალხი ცოტა რჩება ზამთრობით მთაში.

ჩანახატები
გ. კახიძის

ეს არის და ეს. სიცოცხლე მხოლოდ აეროდრომთანაა, სადაც შედარებით მოსახერხებელია ზამთრობით ცხოვრება. აქ დარჩენილებმა გამოკეტეს თავიანთი სახლები ზემოთ, ომალოს ციხესთან და დაბლა ჩამოვიდნენ საქონლის მოსავლელად. ციხესთან შავი ქვით გადახურული სახურავები უცნაურად აამაღლა თოვლმა, წაშალა სახლიდან სახლამდე მისასვლელი ბილიკი და სახლები მძიმედ სუნთქავენ სითეთრეში. ზამთარში ციხესთან თითქმის არ შეიძლება ასვლა, იმდენად დიდია თოვლი აეროდრომიდან რამდენიმე მეტრის სიმაღლეზე.



აეროდრომის ახლოს წყაროა. კაცებს გზა გაუკვალავთ წყარომდე. მიდის თუნგით ქალი წყლის ასაღებად. მას შარვალი ჩაუცვამს და ცხვრის ქურქში ხელები გაუყრია. თუნგი მალე ივსება. ქალი ყურადღებას არ აქცევს, წყალი რომ დის და დის. ის უყურებს ცას და ეძებს სილურჯეს. მთის გადასასვლელზე თუ მოკაშკაშდა, გაბედავენ ფრენას ბიჭები, მამაცი სიხარულიძე მაინც გადმოიფრენს, და მაშინ გაიქცევა თოვლში, აკრეფს ჩამოშვებულ ტვირთს. ერთი კვირა ეყოფა საკითხავად ჟურნალ-გაზეთები, წიგნებს კი გამოიზოგავს გრძელი ღამეებისთვის.

თუნგი კარგახანია აივსო, ქალი კი უცდის სილურჯეს ცაზე.

ინტერნატიდან ხმაური ისმის. ბავშვები გამორბიან თოვლში, თხილამურებს ირგებენ ფეხზე. მისი ბიჭი ბოსლისკენ მიდის. ქალი ხელს ავლებს თუნგს. ბიჭი უკვე კარებთანაა და ეძახის:

— სონა!

მთაში ადამიანები მკაცრები არიან. დედა შვილს ძილში ეფერება მხოლოდ. ბავშვებმა არ იციან ალერსი და დედას როგორც წესი, ეძახიან სახელს.

— სონა!—ეძებს ბიჭი ახლა უკვე ბოსელში, ძროხებთან. ქალი თუნგს დგამს და ისვენებს.

—აქა ვარ! — ადვილად მიდის ხმა



ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოსლამდე. შვილი გამორბის და მი-აქვს წყალი, დედა კი ერთს გაიხე-დავს გაღმა მთისაკენ.

იქ, მთის კალთაზე სოფელია, სა-დაც დაიბადა. შტროლთაში ახლაც ცხოვრობს მისი მოხუცი დედ-მამა. წვერაიძეები არ ჩამოდიან ზამ-თრობით ალვანში, ბარად არ მო-სახლეობენ სხვა თუშებივით, ზამთარ-ზაფხულს მთის მკვიდრნი არიან. არც მათი ქალიშვილი ყოფილა არცერთ ზამთარს ბარში. სონა წვერაიძე გათ-ხოვების შემდეგაც ცხვრის ტყავში ეხვევა და მეურნეობის ძროხებს უვ-ლის.

გარეთ თივის ზვინები დგას (ზვი-ნებს ჩადალს ეძახიან თუშები). მათ შორის სონას შეკრული ჩადლებიც არის. ამ ზაფხულს ტურისტებმა ამო-იარეს მასთან სათიბში. მზე აჭერდა შეუბრალებლად. გოგო-ბიჭები წით-ლები იყვნენ მზისგან. მათ ნახეს, ცელს რომ იქნევდა სონა და ჩადლებს ალაგებდა მიყოლებით. ტურისტები სახლში წაიყვანა სონამ და ორივე ოთახი დაუთმო. მათთვის აცხობდა დილაობით პურს და ხდიდა ლუდს, მათთვის არ ეშურებოდა გუდის ყველი და მწყემსების დამზადებული ყაურ-მა.

სიცოცხლე იყო ამ ზაფხულს მის სახლში ზემოთ, ციხის ნანგრევებთან!





გოგოებს შარვლები ეცვათ და სი-ცილი უყვარდათ. ბიჭები დინჯად იყ-ვნენ და უფრო მეტსაც დადიოდნენ. საღამოობით გოგოები ჩაის ადუღებ-დნენ და მთელი დღის სიარულისაგან დაღლილები სულს იბრუნებდნენ. მა-ლე იღლებიან გოგოები მთაში, მაგ-რამ მთის სიყვარულით იტანენ. შე-ნაქომდე და დიკლომდე დიდი მანძი-ლი ერთ დღეში დალიეს და დაღამე-ბულში ძლივს მოლასლასდნენ შინ. მაინც უნდოდათ წასვლა მეორე დღეს უფრო შორს, ფარსმაში, დღესასწა-ულზე სურდათ დასწრება და ცხენები თხოვეს ახალგაზრდა მეტყევეს.

მეორე დღეს ბიჭები ქვეითად წა-ვიდნენ ფარსმისაკენ, გოგოები ცხე-ნებით გააცილა მეტყევემ.

ალბათ ძალიან ლამაზია მთა, და-უსრულებლად რომ მოდიან და მო-დიან ომალოსკენ, ეძებენ ბინას, სა-ბანს, პურს მხატვრები, მწერლები, ჟურნალისტები.

კიდევ მოვალთო, — დაუბარეს სო-ნას თბილისელებმა და ეს იქნება ალ-ბათ ივლისში.

უმცროსმა ბიჭმაც მოირბინა სკო-ლიდან. მას ალერსი უფრო მეტი ჰქონდა მშობლის. დედა, — დაუ-ძახა. მერე ბიჭები ერთმანეთს შე-ეფეთნენ კარებში. უფროსს თივა შეჰ-ქონდა ძროხებისათვის და ერთმა-ნეთს მუჯლუგუნი გაჰკრეს. კარებში-ვე შეაჩერა მურთაზი სონამ, თივის დრო არ არის, ცხელი საჭმელი მაქვს მზად და ის უნდა ვაჭამოო. თექვს-მეტი ძროხა ბოსელში პირდაღებუ-ლი უცდიდა მომვლელს და მის გა-მოჩენაზე აილოკეს დრუნჩები.

გარეთ გასვლა მონატრებია პი-რუტყვს, ახალი ბალახი და სუფთა ჰაერი. არა და დიდხანს მოუწევთ ცდა, სანამ გატყდება სიცივე. ჯერ, სად არის შირაქში გადარეკილი ცხვრის დაბრუნება, კომბლიანი მწყე-მსების შეძახილი და ბომბორა ძაღ-ლების ყეფა! ჯერ სად არის მთის ამწვანება და ნახირის გაშლა მის კალთებზე!

სონა წველის საქონელს. რძე ნო-ყიერია და მისგან ამზადებს გემრიელ ყველსა და კარაქს. გაზაფხულამდე ალვანის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის მწველავები დააგროვე-ბენ კარაქით სავსე კასრებსა და ყვე-ლით გამოტენილ ტომრებს.

ზაფხულის მოლოდინში ღამეები არის გრძელი და სონა ქსოვაში კლავს ამ ღამეებს. ზაფხულობით ჭრელ-ჭრელ ფარდაგებს, პაჭიჭებსა და ქი-სებს დაირიგებენ მოგზაურები და შორს წაიღებენ ამბავს ომალოელი ქალის იშვიათ გემოვნებაზე.

მანამდე დრო ბევრია.

მთათუშეთში თოვს და თოვს.

ლია კაკაბაძე



8771

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფრედი

ევა პიშბილსკაია

ფრედი ძლივს ფარავდა მოუთმენლობას. თვალს ადევნებდა როგორ ემზადებოდა დედა წასასვლელად, თუმცა თავი ისე ეჭირა, თითქოს წიგნით იყო მეტისმეტად გატაცებული. უკვე ნახევარი წიგნის გადაფურცვლა მოასწრო. საათი კი ჯერ მხოლოდ ორის თხუთმეტ წუთს უჩვენებდა და არავითარი იმედი არ იყო, რომ დიდი ისარი ერთბაშად ექვსზე გადახტებოდა. თხუთმეტი წუთის ლოდინი დასჭირდება კიდევ, ვიდრე მარტო დარჩება, სრულიად მარტო და შესძლებს უკანასკნელი დღეების საიდუმლო ოცნება განახორციელოს. ფრედის მოსვენებას არ აძლევდა,ვაითუ დედამ შემამჩნიოს აღგზნებული მდგომარეობაო. დედა ხომ ყოველთვის გამოიცნობს ხოლმე მის ფიქრებს.

დედა ვიწრო ოთახში ფუსფუსებდა და წარამარა ედებოდა ავეჯს. იგი ვითომ წესრიგს ამყარებდა წასვლის წინ და სადაც მოხვდებოდა იქ სჩრიდა თავის ტანსაცმელს. მას არასოდეს არ ყოფნიდა დრო, რომ სამუშაოზე წასვლის წინ კარგად დაელაგებინა ოთახი, თუმცა ყოველ დილით ექვს საათზე დგებოდა. ფრედის ძალიან არ მოსწონდა ეს ადრიანი ადგომა. ვერასოდეს ვერ ახერხებდა კარგად გამოძინებას, არდადეგების დროსაც კი. დედა ფაციფუცობდა და თან ჩვეულებრივი წესით აძლევდა შენიშვნებს და გაფრთხილებებს: ღმერთმა ნუ ქნას, ასანთს მოკიდოს ხელი, აქეთ-იქით იხეტიალოს უსაქმოდ, სრულ 8 საათზე ლოგინში უნდა იწვეს.

მორჩილად და მშვიდად იღებდა ფრედი შენიშვნებს, რამაც დედა ააფორიაქა, მან წუთით შეწყვიტა ტუჩების ღებვა და მკაცრად უთხრა:

— მიფრთხილდი! თუ რაიმე დააშავე, ძვალს რბილად გიქცევ!

ამჯერად ფრედის ისიც კი დაავიწყდა დედის ტონი წყენოდა, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი მუქარა საერთოდ საშინლად აღაშფოთებდა ხოლმე მის ბავშვურ სულს. განა ათი წლის ბიჭებს სცემენ? დედა ჯერ კიდევ ისე ეპყრობა, როგორც პატარას.

ფრედის გაუხარდა, როცა შენიშნა, რომ დედამ შარფისა და ბერეტის ამოღება დააპირა უჯრიდან. მაშასადამე, ახლა წავა. ეს კი, კაცმა რომ თქვას, დროც არის. დედა ხომ ორ საათზე იწყებს მუშაობას.

„ნეტავი უჯრა არ დაკეტოს“, ღელავდა ფრედი, თუმცა რაიმეს ჩაკეტვა დედას არ სჩვეოდა.

— რად მიყურებ ასე? რა გემართება?

ფრედიმ დაბნეულად შეხედა დედას, რომელიც ჩაცმული იდგა კარებთან და შვილს მისჩერებოდა.

— შენ როგორღაც გამოიცვალე ამ ბოლო დროს, შვილიკო, — უთხრა დედამ ნაღვლიანად.

ფრედის გული შეეკუმშა. ის ვერ იტანდა სევდას დედის ხმაში. ის იყო დააპირა კიდეც ერთბაშად ეთქვა ყველაფერი, რაც უკვე რამდენიმე დღეა სტანჯავდა მას, მაგრამ დედამ „მშვიდობითო“ მიუგდო და გავიდა. დააგვიანა, საბედნიეროდ დააგვიანა, კიდევ წამი და ყველაფერს წამოაყრანტალებდა.

„შენ გამოიცვალე, შვილიკო“, — გაიმეორა ფრედიმ უმწეოდ.

დაცარიელებულ ოთახში უჩვეულოდ ხმამაღლა გაისმა სიტყვები, თუმცა ფრედი ძალიან ჩქარობდა დედის წასვლას, მაგრამ ახლა უეცრად საშინელი სიმარტოვე იგრძნო.

ფრედი იჯდა და უაზრო მზერა ერთი ნივთიდან მეორეზე გადაქონდა. მას ეშინოდა დედას, ჩვეულებისამებრ, რაიმე არ დავიწყებოდა და უკან არ დაბრუნებულიყო. შეეცადა თავი გაერთო იმაზე ფიქრით, რომ შუადღისათვის მთელი თეფში ხენდრო ჰქონდა, მაგრამ არც ამან უშველა. პირიქით, გული აერია. ნუთუ კუჭი გულთან არის დაკავშირებული. ფრედიმ გაიფიქრა, რომ ახლა მას შეუძლია ყველაფერი გააკეთოს, ყირამალა დადგეს ტახტზე, იჩხირკედელოს, ჩაქუჩი არახუნოს, — რა თქმა უნდა ნელა, თორემ მოხუცი პიტლინსკაია კედელზე ცოცხის ცემას და ლანძღვას დაიწყებს. ხულიგანს უწოდებს. ფრედის ოდნავ მოეშვა გულზე ამოიოხრა და „პრერის მხედარი“ აიღო. გაგიჟებით უყვარდა ეს წიგნი, შეეძლო მთელი დღე ეკითხა და თუმცა თითქმის ზეპირად იცოდა, მაინც ისეთივე დაძაბულობითა და აღფრთოვანებით დაიწყო კითხვა, როგორც პირველად, როცა წაიკითხა ფრაზა, რომელიც გონებიდან არ ცილდებოდა ეზოში სირბილის დროსაც კი: „მამა სიყვარულითა და სიამაყით ჩასცქეროდა ვაჟიშვილის ლამაზ, ვაჟკაცურ სახეს“. ფრედიმ ამოიოხრა. რა შესანიშნავია! თვალები დახუჭა და შეეცადა წარმოედგინა ეს ლამაზი, ვაჟკაცური სახე, მაგრამ ვერ მოახერხა. ნუთუ იმიტომ, რომ მამა არა ჰყავს?

— ლამაზი, ვაჟკაცური სახე, — ყრუდ გაიმეორა მან.

ფრედიმ ჯიბიდან ამოიღო პატარა სარკე და ყურადღებით შეათვალიერა თავი. არა, იგი ნამდვილად არ იყო ლამაზი. და მამა კიდეც რომ ყოლოდა, განა სიყვარულითა და სიამაყით დაუწყებდა ცქერას პატარა ფრედის?!

თმა უშნოდ ეხვევა შუბლზე და ყურებთან, ყურებიც დიდი აქვს, მახინჯი, მუდამ წითელი. თვალები... თვალები, რომ ვთქვათ, ლამაზი აქვს. მართალია, თვითონ ცუდად ერკვევა ამაში, მაგრამ მკაცრმა დედამაც კი უთხრა, „შენ ლამაზი თვალები გაქვსო“. ამოიოხრა და სარკე დასდო. მეტისმეტად ჩვეულებრივია იგი, უბრალო. ნაღვლიანად დახედა წიგნის ფერად ყდას, რომელზეც გაბედული ჯიმი — ელვა მიჰქროდა გაქაფულ ცხენზე. მას შემდეგ, რაც ეს წიგნი ჩაუვარდა ხელში, მან სრულიად დაჰკარგა ბავშვური სიმშვიდე. დედამ ამ წიგნს, მართალია, საძაგლობა უწოდა, მაგრამ ფრედი დარწმუნებული იყო, რომ ეს ძალიან კარგი წიგნია. დღითიდღე სულ უფრო ხარბად ეწაფებოდა ამ წიგნს, რომელიც დიდ მამაცობაზე და ორი ადამიანის უსაზღვრო სიყვარულზე მოუთხრობდა. ბიჭუნას გული უთრთოდა მოწიწებისა და ბედნიერებისაგან, როცა კითხულობდა, რომ ამაყი შვილი ეცემოდა მოხუცი მამის ფეხებთან, მამა კი „დამჭკნარ ხელს უსვამდა ვაჟიშვილს ლამაზ თავზე“.

ო, ფრედიც ასაკუწად გასწირავდა თავს მამისათვის! მართალია, მას ერჩივნა, რომ მამას დამჭკნარი ხელები არ ქონებოდა, მაგრამ სულერთია, ის მზად არის ყველაფერი გააკეთოს მისთვის ამ ქვეყნად, გრძნობდა, რომ მზად იყო მამაცობისა და მსხვერპლის გაღებისათვის. ფრედი ვერ შერიგებოდა აზრს, რომ მამა არ ჰყავდა, უკვე მთელი კვირაა, რაც საგონებელშია ჩავარდნილი. ცდილობს რაღაც გაიგოს დაბადების მოწმობით, რომელიც დედის ძველ ჩანთაში იპოვა, მაგრამ მოწმობაში მოკლედ იყო აღნიშნული: „ალფრედი, შვილი ელენესი, დაიბადა ფრანკფურტში“. მამაზე არც ერთი სიტყვა. თუ და არა ჰყავს, შეიძლება იოლად წახვიდე, მაგრამ როგორ უნდა იცხოვრო უმამოდ?

ბიჭუნას ეშინოდა რაიმე ეკითხნა დედისათვის დედა ხომ არასოდეს არ ახსენებდა მამას, თითქოს იგი სულაც არ არსებობდა. მაგრამ ფრედი ბავშვი აღარ არის, კარგად იცის, რომ ყოველ ადამიანს უნდა ჰყავდეს მამა, მაშასადამე, მასაც ჰყავდა. შეიძლება დედა წაეჩხუბა მამას? ფრედიმ იცის, რომ დიდები ზოგჯერ ჩხუბობენ. შეიძლება მამა გარდაიცვალა! არა, შეუძლებელია! ფრედიმ იცის, რომ მისი მამა ცოცხალია. მაგრამ არ გაალიზიანებს დედას შეკითხვებით. თვითონ გაიგებს ყველაფერს. დედას ხომ ყუთში უნდა ჰქონდეს ისეთი რამ, რაც ერთ დროს მამას ეკუთვნოდა. დეიდა ფელიას, მაგალითად, მთელი სკივრი ქონდა სავსე გარდაცვლილი ქმრის ნივთებით; რა თქმა უნდა, დედასაც უნდა ჰქონდეს მამის წერილი, ყელსახვევი ან სურათი მაინც.

ფრედიმ ნერვიულად გამოსწია ყუთის სახელური. რა ბედნიერებაა, ღიაა! ფრთხილად დაიწყო დედის ნივთების ამოლაგება, რომლებიც ზემოდან ეწყო, იცოდა, რომ სულ ქვევით, ყუთის ძირზე დედა ინახავდა ძველ ფოტოსურათებს. ფრედიმ გადაშალა ალბომი. გამოხუნებული თვალებით შემოხედეს მას დედის ვიღაც დეიდებმა, სასაცილო ქუდები რომ ეხურათ. აი დედაც — პატარა გოგონა აპრეხილი ბაფთით თმაზე. იგი სკამზე მდგარი დიდ დათუნიას შემოხვევია. ფრედი ცდილობს გოგონას ფუნჩულა სახეში დედის სახის ნაკვთები გამოიცნოს. განა ცოტაჯერ სმენია როგორ არ უნდოდა მაშინ დედას სკამზე დადგომა? როგორ დაპირდა ფოტოგრაფი ჩიტუნიას, რომელიც აპარატიდან უნდა გამოფრენილიყო? ფრედი არასოდეს არ წამოეგებოდა ასეთ ანკესზე. მაგრამ დედა ხომ სულ პატარა გოგო იყო მაშინ და რა არის აქ გასაკვირი!

ფრედი განაგრძობდა უჯრის ქექვას. იმედი ჰქონდა, რომ დედის ქორწინების სურათს იპოვნიდა, ისეთს აი, ფატითა და ყვავილებით. თითქმის ყოველ სახლში, სადაც კი ყოფილა იგი,

ეროვნული ბიბლიოთეკა



მხატვარი ვ. ვისოცკი

ქორწინების სურათი კიდია საუკეთესო ოთახებ' შესასვლელის პირდაპირ კედელზე. მხოლოდ ფრედის დედ-მამას არ ჰქონდა ქორწინების სურათი. დედამ ერთხელ სთქვა: ასეთი რამ დრომოჭმულიაო. მაგრამ ალბომში მაინც უნდა იყოს ასეთი სურათები. ქორწინება ხომ მნიშვნელოვანი ამბავია. დეიდა ფელია ამბობს, „ეს ერთხელ ხდება მთელ სიცოცხლეშიო"

მაგრამ ფრედიმ ვერ იპოვნა ქორწინების სურათი. კიდევ ერთხელ, თითქმის სასოწარკვეთილებამდე მისულმა, ნერვიულად გადაათვალიერა მთელი ალბომი. და უცბად შუბლში შემოირტყა ხელი: როგორ შეეძლო დავიწყებოდა ასეთი რამ?! იგი ხომ გერმანიაში დაიბადა, გერმანელები კი ალბათ პოლონელებს უფლებას არ აძლევდნენ სურათი გადაეღოთ ქორწინების დროს. პოტილინსკაია იმასაც კი ამბობდა, რომ ფრიცები საერთოდ კრძალავდნენ ქორწინებებსო.

ბიჭუნამ შვებით ამოისუნთქა, როცა უჯრის ძირზე სქელ, მაგარ კონვერტს მოავლო ხელი. კონვერტი დახურული იყო. წამით შეყოყმანდა, მას არ უყვარდა სხვის ნივთებში ხელის ფათური. დედასაც არა ერთხელ უთქვამს, რომ ეს ულამაზო და არაკეთილშობილურიაო. მან თითები შეახო სურათების მახვილ კიდეებს. ასე ახლო იყო მიზანთან და უკან დაიხიო? კონვერტი მოსწია, მაგრამ ხელში შემოეხა. იატაკზე სურათები გადმოცვივდა. ამდენი ადამიანის სახის დანახვამ ფრედის სინდისის ქენჯნა ჩაუხშო. აჩქარებით დაიწყო მათი გადასინჯვა. არჩევდა ახალგაზრდა მამაკაცების სურათებს, ხარბად ჩასცქეროდა თვითეულს, ცდილობდა გამოეცნო ვინ იყო. ეს ულვაშებიანი კაცი ბიძაჩემია, ის, ქუდიანი — ბაბუაა ახალგაზრდობაში. ეს? იგი კრიტიკულად დააცქერდა ყმაწვილ კაცს, გადაფენილსაყელოიანი ხალათი რომ ეცვა — არა, ეს ნამდვილად არ არის! გუნებაწამხდარმა განმეორებით გადაათვალიერა ყველა სურათი. არა. ვერ იპოვა. ვერა, ვერასოდეს ვერ ნახავს მამას. მოკვდება და ვერ გაიგებს თუ როგორ გამოიყურებოდა იგი. ეს დამარცხება იმდენად ძლიერი იყო, რომ უკვე ნაკლებად აშინებდა დასჯა, რომელიც მას ელოდა. ახლა მისთვის სულერთი იყო გაიგებდა დედა თუ არა, რომ ყუთში ურევდა ხელს. ჯავრისაგან გულმოკლული იჯდა.

უცბად გაირინდა. იატაკზე გულგრილად დაგდებული მსუბუქი შარფიდან სურათის კუთხე დაინახა, საიდანაც გაშტერებით უმზერდა ვიღაცის დიდრონი თვალები. ალბათ სიჩქარისაგან ისე მიმოფანტა სურათები, რომ კინაღამ გამორჩა ეს ერთი. ვიდრე სურათს აიღებდა, იცოდა, ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ეს მამა იყო. აბა სხვას ვის უნდა ჰქონოდა ასეთი ლამაზი თვალები. თვითონ მას, ფრედისაც, მგონი, ასეთი თვალები აქვს.

გულმა ბაგა-ბუგი დაუწყო, თითქოს ბუდიდან ამოვარდნას ლამობსო. ვაი თუ ეს არ არის მამა! იქნებ, მას მხოლოდ თვალები აქვს ლამაზი და ახალგაზრდული, თვითონ კი მოხუცია და ულამაზო. ფრედის გულისცემა შეუჩერდა წამით, შემდეგ კი გაუბედავი იმედით აუძგერდა.

არა, ეს უეჭველად, მამაა!

ფრედის ვერც კი წარმოედგინა, რომ მამა ლამაზი არ იყო. დიდრონი შავი თვალები კი სერიოზულად და კეთილმოსურნედ უმზერდნენ გამჭვირვალე შარფიდან. ფრედიმ თვალები დახუჭა, შემდეგ სწრაფად დასწვდა სურათს და პატარა თითებით დაუწყო სინჯვა, ისე როგორც ბრმებმა იციან. სურათი დიდია და მახვილკუთხეებიანი.

მღელვარებისაგან ბავშვს ხელები უკანკალებს. არა, სურათს ის ერთბაშად არ დახედავს, არაფრის გულისთვის! ხომ შესანიშნავია გაახანგრძლივო ბედნიერების წუთები?

ფრედი არასოდეს არ აჩქარებდა სასიხარულო წუთების მოახლოებას. ასეთი უცნაური ბავშვი იყო. სხვა ბავშვივით არასოდეს არ მივარდებოდა შეხვეულ საჩუქარს, მხოლოდ დიდხანს და ნაზად ეალერსებოდა მას და ყოველთვის ითხოვდა, არ ეთქვათ რა იყო შიგ. არც სიხარულისაგან ყვირილი ეხერხებოდა. ხშირად ჩუმად იტირებდა, და მაშინ დედა გაუჯავრდებოდა:

— შენ ყველაფერს უკუღმა აკეთებ, — ეუბნებოდა იგი, — სხვები რომ ხარობენ, შენ ტირი.

კიდევ კარგი, ახლა მაინც არ ხედავს დედა, როგორი მოხრილი ზის ფრედი, მაგრად თვალდახუჭული და ნელნელა სცვივა ცრემლები. თვითონაც სცხვენია, რომ ასეთი მტირალაა. ასე როდი შეფერის მამაკაცს — იჯდეს და იღრიალოს, მაგრამ ცრემლების შეკავება არ ძალუძს. შეიძლება ცრემლები გულიდან ცვიოდეს? მას ხომ ახლა გული სტკივა, მაგრამ რატომღაც თვალები ტირიან.

„ბიმ-ბომ, ბიმ-ბომ," — მძიმედ ამოისუნთქა საათმა. ფრედიმ საყვედურით შეხედა მას: „რატომ მიშლი ხელს, შენ დანჯღრეულო?" საათი მეტისმეტად ძველი იყო და საშინლად მოშლილი. როცა უნდოდა მაშინ რეკავდა და რეკავდა იმდენჯერ, რამდენიც მოესურვებოდა. დედა დიდიხანია ფიქრობდა იმის გადაგდებას, მაგრამ ფრედი ეხვეწებოდა არ წაერთმია მისთვის სიცოცხლე. დედას აბრაზებდა ფრედის ქომაგობა. „როგორ შეიძლება საათს წაართვა სიცოცხლე, რომელიც მას არა აქვს?" მაგრამ ფრედიმ კარგად იცოდა, რომ ძველი საათი ცოცხლობს, ნელნელა წიკწიკებს და თავისებურად ამბობს რაღაცას.

იქნებ ეს საათი მამამ იყიდა? ფრედიმ თვალები დააჭყიტა, თითქოს ცდილობდა მამის ხელების კვალი გაერჩია გაცრეცილ ციფერბლატზე, მაგრამ, როცა მოაგონდა, რომ საათი ბაბუასი იყო, დაღონდა. რა არასასიამოვნოა უახლოესი ადამიანის სამახსოვროდ არაფერი გაგაჩნდეს. ფრედი რომ მომკვდარიყო, დედას ნივთების მთელი გროვა დარჩებოდა და ის ალბათ არაფერს, გატეხილ სათამაშოსაც კი არ გადააგდებდა. იქნებ გადაეგდო! ფრედიმ კარგად არ იცოდა, თუ როგორ მოიქცეოდა დედა.

ხელში სურათმა გაიშრიალა. ბავშვი დაიძაბა და მთელი თავისი გაბედულება მოიკრიბა...

— ო, ღმერთო ჩემო, რა ლამაზია! — აღფრთოვანებით წაიჩურჩულა მან და ურჩი თვალები ისევ აცრემლდნენ.

ფრედი იწმენდდა ცრემლებს სწრაფად, მოუთმენლად, რადგან ცრემლები უშლიდა ეცქირა და აღფრთოვანებულიყო მაღალშუბლიანი, დიდრონთვალებიანი მამაკაცის ახალგაზრდა სახით. კბილებიც ალბათ თეთრი აქვს, თოვლივით თეთრი. კბილები არ მოუჩანს, რადგან ის სერიოზულადაა.

ფრედიმ წამით დახუჭა თვალები, მხოლოდ იმიტომ, რომ შემდეგ ისევ გაეხილა და კვლავ დამტკბარიყო ბედნიერებით.

„მამიკო, რა მშვენიერი ხარ, შენ ჩემი ხარ... მიყურებ"...

დრო გადიოდა. ბინდბუნდი ეუფლებოდა პატარა ოთახს, სურათზე გაბუნდოვნდა ნაკვთები, მაგრამ ფრედი ისევ ნათლად ხედავდა საყვარელ სახეს და განუწყვეტლივ იხსენებდა ფრაზას: „სიყვარულითა და სიამაყით ჩასცქეროდა ვაჟიშვილის ლამაზ, ვაჟკაცურ სახეს", უცბად მოიწყინა.

„მე არა მაქვს ვაჟკაცური სახე. სულაც არა ვარ ლამაზი. შეგიყვარდებოდი, მამიკო?"

სახე სურათზე სდუმს, მაგრამ ფრედიმ, სულერთია, იცის პასუხი. მან იცის, რომ ასეთიც კი, როგორიც ის არის, მოსწონს მამას. ნაზად ეფერება იგი სურათს და ოცნებობს: „შენ კიდეც რომ გეცემნა ჩემთვის, ისე როგორც იანეკას სცემს თავისი მამა, სულერთია, მეყვარებოდი. შენთან ერთად ვივლიდი კინოში, შენ მომეხმარებოდი ველოსიპედის შეკეთებაში... სამუშაოდან მოსული იტყოდი, რომ მძიმე დღე გქონდა, მოგიტანდი ჩუსტებს, ისევე როგორც დედას... და დედაც არ იქნებოდა ისეთი მკაცრი, როგორიც ახლაა, იგი დაჯდებოდა შინ და ჩვენ დაგველოდებოდა..."

დედა... ეჭვმა გაკენწლა. რატომ არ არის დედა მამასთან? არ უნდა? არ შეუძლია?

იგი თავით მიეყრდნო ყუთის მაგარ კიდეს, ლოყაზე მიიკრა სურათი და შეშფოთებული გაირინდა.

„შენ ხომ არ მომკვდარხარ, მამიკო?—შეეკითხა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მღელვარებით. — მაშინ ასეთი ცოცხალი თვალები ხომ არ გექნებოდა?"

...დედა კარებთან გაქვავდა, როცა ვაჟიშვილი იატაკზე მიმოფანტულ ნივთების გროვაში დაინახა.

— რას ნიშნავს ეს? — გაჯავრებით დაიყვირა მან და შუქი აანთო.

შუქის ზოლმა გაფანტა სიზმარისეული მოჩვენებები. ფრედი იატაკზე იჯდა თვალებგაშტერებული და ჯერ კიდევ ვერ მოსულიყო გონს.

— დედიკო, — წაიჩურჩულა მან.

მაგრამ დედა ყურს არ უგდებდა, ხელიდან



გამოსტაცა სურათი და ზედაც არ დაუხედია ისე კულგრილად გადაისროლა უჯრაში და ზედ ნივთები მიაყარა.

— რას ეძებდი, რას?...

— დედა! — ფრედის შეძახილში იმდენი ტკივილია, რომ დედა ჩუმდება. მისი მრისხანება ისევე სწრაფად გაქრა, როგორც წარმოიშვა. იგი შუა ოთახში დგას და გაოცებული უყურებს შვილს. მერე მის გვერდით ჯდება იატაკზე და ეკითხება:

— რას ეძებდი, შვილიკო?

— მამას... — ფრედის ხმა უკანკალებს.

— მამას? — დედის თვალებში საშინელება ჩაისახა: რას ნიშნავს ეს, ნუთუ ბიჭუნა შეიშალა? — მამას! ყუთში ეძებდი მამას? — ეკითხება იგი ისე ჩუმად, როგორც მძიმე ავადმყოფს.

— დედა, ნუთუ შენ არ გესმის?

— არა, არ მესმის, — სასოწარკვეთით პასუხობს დედა. — შენ ხომ მამა არა გყავს.

— კი მაგრამ, ხომ მყავდა, დედა. უნდა მყოლოდა! იმასაც ისეთივე თვალები ქონდა როგორც მე, და ლამაზი სახე.

— ვინ შთაგაგონა ეს სისულელეები? — დედა ისე მაგრად ანჯღრევს ფრედის, რომ ბიჭუნას თავი საცოდავად უყანყალებს სუსტ კისერზე.

— არავინ, — სტირის ფრედი. — არავინ, მაგრამ ყოველ ადამიანს ჰყავს მამა, მე კი არაფერი არ ვიცი.... მე...

— არა, ერთი დამიხედეთ! ათი წელი არც კი უფიქრია ამის შესახებ და უცბად ტრაღედია გამიმართა... — დედა ცდილობს ირონიულად ილაპარაკოს, მაგრამ მის ხმაში უმწეობა იგრძნობა. ფრედი ხვდება, რომ საცაა დედაც ატირდება.

ერთ წუთს ორთავენი მდუმარედ ისხდნენ, გადახვეულნი, შემდეგ ფრედიმ ფრთხილად კითხა:

— ცოცხალია?

— არ ვიცი, — ჩუმად პასუხობს დედა. მის ხმაში სევდა კი არა, უკვე აშკარა სასოწარკვეთილება იგრძნობა.

როგორ უთხრას ამ ბავშვს, რომ მას არც კი ახსოვს იმ კაცის სახე, რომელიც ბავშვის მამა გახდა? როგორ აუხსნას ამ სევდიან ბიჭუნას რომ ბავშვი ყოველთვის როდია სიყვარულის ნაყოფი, რომ ზოგჯერ იგი ისეთივე არასასურველია, როგორც ოჯახში შემთხვევით შემოსული მაწანწალა. როგორ უთხრას, რომ მის გაჩენას ამ ათი წლის წინათ მეტად ცუდად, თითქმის ზიზღით შეხვდა, რომ ერთ დროს მზად იყო პირველივე მსურველისათვის მიეცა იგი, რომ ახლაც, როცა ბიჭუნა მისთვის უახლოეს არსებად იქცა, იმ ძველი შეურაცხყოფის მოგონებაც კი ისეთ ზიზღსა და სიძულვილს იწვევდა მასში, რომ მზად იყო იმ შორეული მამაკაცის აჩრდილიც კი მოეკლა.

— დედა, ის ასეთი იყო? — ფრედიმ სწრაფად ამოიღო ყუთიდან დაჭმუჭნული სურათი.

— არა, — გულგრილად მიუგო დედამ, მაგრამ როცა დარდით გულმოკლულ ბიჭუნას შეხედა, უნებურად, ყოველგვარი სურვილის გარეშე, დაუმატა:

— არა, ეს სულ სხვა ვიღმეა, უცხო. ის უფრო ლამაზი იყო და ძალიან კარგი.

დედამ ღონიერი ხელებით იატაკიდან აიტაცა ბავშვი და საწოლთან მიიყვანა. ნაზად მიუალერსა და შემდეგ ტანთ ისე გახადა, როგორც მაშინ, როცა ფრედი სულ პატარა იყო.

ფრედი ძალზე დაღლილია. ნერვიულმა დაძაბულობამ გაუარა. თავს ძალიან სუსტად გრძნობს. თვალებს ხუჭავს, დედის მკლავებში ტრიალებს და კატასავით კრუტუნებს. ბიჭუნა საოცრად კარგად გრძნობს თავს და არავითარი სხვა ახსნა-განმარტება აღარ სჭირდება.

— დედა, — ეუბნება იგი, — არ მიჯავრდები?

— რისთვის, შვილიკო?

— ის რომ მიყვარს?

— არა, — ყრუდ პასუხობს დედა.

— იცი რა, — ძილღვიძრად ამბობს ფრედი, — მე შენც ძალიან მიყვარხარ, მაგრამ მცხვენოდა მეთქვა. შენ რომ სამსახურში მიდიხარ მე მოწყენილი ვარ. ხენდრო კი არ შემიჭამია. დიდი ხანია ვფიქრობ, როცა გავიზრდები, შენთვის ვიმუშავებ. მითხარი, იამაყებდა მამა ჩემით?

დედა სდუმს. მაგრამ ფრედის არც სჭირდება ლაპარაკი. ფიქრობს და ფიქრებით ავსებს დედის წარსულის ხარვეზებს.

— მე იმაზე ვფიქრობდი, რომ მასაც ძალიან ვეყვარებოდით ჩვენ. ხომ მართალია, დედა? ალბათ ძალიან ნაღვლობს, რომ დაიკარგა, — ფრედის ხშირად სმენია, რომ ადამიანები იკარგებიან. ეს უკეთესია, ვიდრე ცნობა სიკვდილის შესახებ. — რა ერქვა მამას?

— სტეფანე, — პასუხობს უკვე დედა დაბეჯითებით.

— სტეფანე, — ოცნებით იმეორებს ფრედი. — და შენ ამბობ, რომ მამა უფრო ლამაზი იყო, ვიდრე ის კაცი, სურათზე რომ არის?

— ჰო. ის ძალიან ლამაზი იყო და შენ იმას გავხარ.

— რატომ არასოდეს არ მელაპარაკებოდი მის შესახებ?

— მე... მე მეგონა, რომ შენ არ ისურვებდი იმის გახსენებას.

— მე დიდხანს არ მინდოდა, — ეუბნება ფრედი. — მაგრამ უცბად რაღაც მომივიდა, მომინდა ყველაფერი გამეგო. საშინლად ვწუხდი. მეშინოდა.

— გეშინოდა? რისი!

— რომ გამიჯავრდებოდი. შენ ისეთი დაღლილი ბრუნდებოდი, მე კი ზოგჯერ არ გიჯერებდი.

— მე ამას აღარ ვიზამ, შვილიკო!

— აღარ? აღარ გამიჯავრდები?

— აღარ გაგიჯავრდები. შენ ხომ ჩემი ერთა ხარ... დაიძინე, უკვე გვიანია.

— ისე კი ორნი გეყოლებოდით. მამასთან ერთად ივლიდი კინოში. აღარ დაგჭირდებოდა შეშის დაჩეხვა.

— დაიძინე, პატარავ, — სთხოვა დედამ.

— კარგი. თმახუჭუჭა იყო დედა?

— ჰო, ისეთივე როგორიც შენა ხარ. დაიძინე.

თვითონ კი ველარ დაიძინებს, თუმცა დაღლილობისაგან ფეხზე ძლივს დგას და თავშიც სიცარიელეს გრძნობს. როგორ გაჩნდა ასეთი ბავშვი? იგი ფრედისკენ დაიხარა და თითქოს პირველად ხედავსო, სახეში ჩააცქერდა. ათი წლის მანძილზე პირველად ცდილობს დამშვიდებით მოიგონოს ის საძულველი სახე და შეადაროს ამ საყვარელ პატარას. რა შეუცნობელია ბუნების კანონები, თუ ზიზღითა და საშინელებით აღსავსე ღამემ შექმნა ამგვარი სასწაული — პატარა, უსუსური, სათუთი კაცუნა... და დედა ისევ ეხვევა შვილს და აკვირდება პატარა სახის ყოველ ნაკვთს.

„მისი შვილი... როგორ შეიძლებოდა ეს მომხდარიყო? და ამ პატარას უყვარს იგი... ვინ შთააგონა ეს სიყვარული?"

და ქალი მეხსიერებაში კვლავ აღიდგენს ტანჯვით განვლილ გზას და უბრუნდება იმ ბოროტ წუთს, რომელმაც სიკეთე შობა. იგი ძალიან დაიღალა, მაგრამ გაქრა ის მტანჯველი სიძულვილი და ზიზღი, რომელიც ცხოვრების ყოველ განვლილ დღეს, თვეს, წელს უწამლავდა. გაქრა შეურაცხყოფისა და მარტოობის მტანჯველი გრძნობა. ამიერიდან შვილის შეკითხვების აღარ შეეშინდება.

იგი დაღლილ მგზავრსა ჰგავს, რომელმაც რის ვაივაგლახით მიატანა თავის სახლს.

თარგმანი **ბაბო ვაშაძისა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რედაქციაში მოვიდა წერილი

## უცნობო მეგობარო!

„საქართველოს ქალის" ა. წ. მაისის ნომერში თქვენი წერილი ვნახე გამოქვეყნებული. იმ დღიდან ის წერილი, ალბათ, ერთი ასჯერ მაინც გადავიკითხე. მე ხშირად ვადარებ ჩემს ოჯახურ ცხოვრებას თქვენსას. როგორ მინდა შეგხვდეთ და ჩემი გულისტკივილი გაგიზიაროთ.

ჩემი მეუღლე პატიოსანი, ჩუმი მამაკაცია, მაგრამ სულ სხვანაირი ხდება, როცა ნასვამია. სასმელის მისაღებად კი ყოველ წუთს მზად არის. სიმთვრალისას უხეში, მძიმე და აუტანელი ხასიათისაა. ჩვენი ერთად ცხოვრების მანძილზე სიმწარის მეტი არაფერი მინახავს. ოჯახი არ უყვარს, არასოდეს ოჯახის მოწყობაზე არ უფიქრია. რაც ფულს შოულობს, ყველაფერს სასმელში ხარჯავს. ათი წლის მანძილზე მოცილებული იყო ოჯახს და თვეში ერთხელ ან ორ თვეში ერთხელ თუ გვინახულებდა. ბევრი ხვეწნა-მუდარის და ძალდატანების შემდეგ დაგვიახლოვდა, მაგრამ ამ ხნის უკაცო ოჯახს არაფერი შეეტყო. ახლაც ძველებურად სვამს, ძველებურად უხასიათობა. მეც დავიღალე. ვეღარ ვუთმობ გინებას, ლანძღვას და მეც ვპასუხობ. ამის შემხედვარე ბავშვები უხეშები ხდებიან, აღარ მემორჩილებიან, ჩემს შრომას არ უფრთხილდებიან.

როცა ქმარს და შვილებს ვთხოვ: „მეც ვმსახურობ, მარტო ვარ, თქვენ კი ოთხნი, ცოტა ხელი შემაშველეთ მეთქი", — შვილების გასაგონად მამა ასე მომმართავს ხოლმე: „ქალი ხარ, უნდა იმსახურო კიდეც და ოჯახსაც მოუარო. აბა, რომ თხოვდებოდი, რას ფიქრობდიო?"

. ეჰ, რას ვთხოვდებოდი! 17 წლის ქალიშვილს რომ ამდენი გაგება მქონოდა, განა გავბედავდი ასეთ ადამიანს დავმეგობრებოდი?

ახლა მხოლოდ შვილების სიყვარული მაჩერებს. არ მინდა მათ ოჯახი დავუნგრიო.

**თ. მ.**
ახალციხე.

## პატივცემულო უცნობო ქალო!

...თქვენ ძალიან წვრილმანებზე დაობთ, ამაზე სერიოზულად არც ღირს ლაპარაკი.

წერთ, რომ როცა თქვენ რეცხავთ ჭურჭელს, ტანსაცმელს, აკეთებთ კერძს ან იატაკს წმენდავთ, თქვენი ქმარი ამ დროს ზის და გაზეთის კითხვით ერთობა.

თქვენს მიერ ჩამოთვლილი საქმეები საქალოა და ის ქალმა უნდა გააკეთოს. გაზეთის წაკითხვა გართობა კი არა, ადამიანის ცოდნის დონის ამაღლება და იდეურ-პოლიტიკური წრთობაა...

**ფ. მოსახლიშვილი,**
თიანეთი, ახალსოფელი.

## პატივცემულო რედაქციავ!

თქვენი ჟურნალის ფურცლებზე დაბეჭდილმა ერთ-ერთი მკითხველის გამოხმაურებამ ნამდვილად გამაოცა. მესმის: თქვენ ეს წერილი იმიტომ დაბეჭდეთ, რომ გეჩვენებინათ მკითხველთა აზრთა სხვადასხვაობა და არ შეიძლება ამ წერილს ეთანხმებოდეთ!

როგორ ავიტანოთ ყველაფერი უხეში ქმრისაგან, ვემსახუროთ, ვუთმინოთ, ვეფეროთ, დავუმზადოთ სასურველი კერძები, ბოდიში მოვიხადოთ მაშინ, როცა ჩვენ არა ვართ დამნაშავე? განა ეს ქრისტეს მცნება — „Непротивление злу" არ არის, რომლის გამოც დიდი ლენინი ასე დაუნდობლად აკრიტიკებდა უდიდეს მწერალს — ლევ ტოლსტოის?

კაცობრიობა რომ ამ მცნებას გაჰყოლოდა, ქვეყანაზე არც ერთი რევოლუცია და ომი არ უნდა მომხდარიყო, და საზოგადოებაც მუდამ ორ კლასად უნდა დარჩენილიყო —მონებად და ბატონებად. ცხოვრება ნათლად გვიჩვენებს, რომ ეს ასე არ არის და არც შეიძლება იყოს.

დავუშვათ, შევწირეთ ჩვენი თავი ჩვენს შვილებს, ავასრულეთ ქმრის ყველა უმართებლო სურვილი. განა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენი შვილებიც ასე უნდა მოიქცნენ — ქალები დაემონონ ქმრებს, ვაჟებმა კი იბატონონ ცოლებზე?..

**ნინო უშვერიძე,**
თბილისი.

## ჩემო უცნობო მეგობარო!

მე ვფიქრობ, თქვენ შეცდომით გაჰყოლიხართ ადამიანს, რომელსაც არ იცნობდით, ცუდად იცნობდით ან არ გიყვარდათ. მაგრამ რას იზამთ. თქვენ ხომ შეერთდით! ბავშვები გყავთ! მორჩა. არავითარ შემთხვევაში გაყრა! თუ ქმარი გთავაზობთ — უარი. შვილების გულისათვის.

თქვენი მთავარი გულისტკივილი ისაა, რომ ქმარი არაა თქვენი მეგობარი, გულცივია, ოფიციალურიც კი! გულს ნუ ჩაიკლავთ. ხომ მსახურობთ, ხომ გყავთ მეგობრები, ამხანაგები, ნათესავები, შვილები? მართალია, პირველ რიგში შვილები კი არა, ქმარი უნდა იყოს მეგობარი, მაგრამ რას ვიზამთ თუ ეს ასე არაა! ჰოდა, იმათთან იმხიარულეთ, იმსჯელეთ, კინოში და თეატრში იარეთ. ქმარი? ქმარი იყოს თავისთვის გარიყული, რახან ასე ურჩევნია. ეცადეთ, ბავშვებთან იყოთ გულთბილი, ხასიათი არ გაიფუჭოთ. თავსაც მოუარეთ. ზოგი საქმე სახვალიოდ გადასდეთ. და თუ ეს ქმარს არ მოეწონა, არა უშავს, იბუზღუნოს. 7 წელი ბუზღუნს ვერ შეეჩვიეთ?

**ნ. ბულია,**
თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩვენი საოჯახო კლუბი

# ორმოცს რომ გადააბიჯებთ...

ჩვენ გვინდა ვესაუბროთ იმ მანდილოსნებს, რომლებმაც უკვე გადააბიჯეს 40-45 წელს. ეს იქნება საუბარი არა მოახლოებულ მოხუცებულობაზე (ჩვენს დროში სიბერის წლებმა უკან გადაიწიეს), არამედ იმის შესახებ, თუ როგორ დიდხანს შეინარჩუნონ ქალებმა სიკოხტავე და მიმზიდველობა.

თუ თქვენ 40-45 წლის ასაკში სახეზე ნაოჭები გაგიჩნდათ, წელიც აღარ გაქვთ წინანდებურად ვიწრო და მოქნილი — ნუ ინაღვლით! ეს როდი ნიშნავს სიბერის მოახლოვებას და იმას, რომ დაკარგეთ მიმზიდველობა. ხომ ხდება ისეც, რომ ქალი სწორედ ამ ასაკში იძენს განსაკუთრებულ სანდომიანობას. მაგრამ აქ, რა თქმა უნდა, ბევრია დამოკიდებული თვით ქალზე.

თუ ახალგაზრდა ქალს ასე თუ ისე ეპატიება წაიზარმაცოს და „დაივიწყოს" დილის ფიზიკური ვარჯიში, თქვენ ამის უფლება უკვე აღარა გაქვთ.

ეცადეთ შეინარჩუნოთ ახალგაზრდული სიარული, ყურადღება მიაქციეთ თქვენს გარეგნობას, ტანის სწორად და გამართულად დაჭერას, რაც ძალზე მნიშვნელოვანია. ბეჭებში მოხრილობამ შეიძლება ბოლოს იქამდე მიგიყვანოთ, რომ კუზიან ბებერს დაემსგავსოთ, რაც თქვენ, ალბათ, არა გსურთ...

ქალის გარეგნობისათვის მეტისმეტად მნიშვნელოვანია ისეთი წვრილმანები, როგორიც არის ჩამოვარდნილი ბრეტელი, დასრესილი ქვედატანი, ჩამოჩაჩული წინდები, გაწეწილი თმა, ცუდად შეკრული საკინძე. ასეთი დაუდევრობა თქვენ არ გეპატიებათ. რაც უფრო ხანში შედიხართ, მით უფრო მეტი მოგეთხოვებათ. გამოცდილება, წლების მანძილზე რომ შეიძინეთ, გავალებთ სამაგალითო იყოთ ახალგაზრდობისათვის. რა მაგალითს მისცემთ სხვებს, თუ საკუთარ თავს არ სცემთ პატივს, ფეთხუმი ხართ, დაუდევრად და უსუფთაოდ იცვამთ?..

თუ კარგი ტანადობა შეინარჩუნეთ, თქვენთვის მაინცდამაინც დიდი მნიშვნელობა არ ექნება ისეთ დეტალებს, როგორიცაა ლიფი და სარტყელი. მაგრამ როგორ უნდა მოიქცეთ თუ ხანში შესვლასთან დაკავშირებით თქვენმა სხეულმა დეფორმაცია განიცადა? სწორედ ამ დროს გჭირდებათ კარგად შეკერილი სარტყელი, მკერდზე სწორად მორგებული ლიფი. ეს შესცვლის თქვენს სილუეტს, გამოგაჩენთ უფრო ტანადს, კაბაც უფრო კოხტად მოგადგებათ.

მოდით, ახლა ვიფიქროთ, როგორი უნდა იყოს თქვენი კაბა. კაბის ამა თუ იმ ფასონმა შეიძლება გამოგაჩინოთ უფრო მაღალი ან უფრო დაბალი, უფრო წვრილი ან უფრო მსუქანი. საიდუმლოება ხომ არ არის, რომ მსუქნებს სურთ თავიანთი სიმსუქნის დაფარვა, ძალიან მაღლებს სურთ უფრო დაბალი გამოჩნდნენ, დაბლებს კი — უფრო მაღალი!

მთავარი მაინც ის არის, რომ შევვეძლოს ჩვენი ასაკისათვის შესაფერი ჩაცმა. ალბათ, ხშირად მოგისმენიათ, ხნიერი ქალი თავისი კაბის ფასონის შერჩევის დროს რომ ამბობს: ეს ახალგაზრდას მოუხდება, ჩემთვის შეუფერებელიაო. სავსებით მართებული შენიშვნაა. ხელოვნურად გაახალგაზრდავებული და ასაკის შეუფერებლად ჩაცმული ქალი ირონიულ ღიმილს იწვევს. სამწუხაროა, თუ ეს ღიმილი გავიგეთ, როგორც მოწონების და წახალისების ნიშანი.

უდაოა, ყველა ქალს სურს უფრო ახალგაზრდად გამოიყურებოდეს, მაგრამ აქ აუცილებელია ზომიერების გრძნობა. მაგალითად, ახალგაზრდა ქალს უხდება განიერი და მოკლე ქვედატანი, შემოჭერილი სარტყელით. 45 წლის ქალისათვის, მსუქანიც რომ არ იყოს იგი, შეუფერებელია წელის მეტისმეტად დავიწროება, მას არც განიერი ქვედატანი და მკერდზე მეტისმეტად შემოსხლეტილი ლიფი შეშვენის. ხნიერი ქალის კაბის სილუეტი უნდა იყოს უფრო რბილი და მდორე.

არ უნდა ჩაიცვათ მეტისმეტად მკვეთრი ფერის კაბა, არ გადატვირთოთ იგი მოსართავებით. გახსოვდეთ, რაც უფრო სადა იქნება თქვენი კაბა, მით უფრო უკეთესია. არც ღრმად ამოჭრილი გული შეგეფერებათ, რადგან თქვენი ყელი უკვე აღარ არის ისეთი, როგორიც წინათ იყო.

კაბის სიგრძე მოდას შეუხამეთ, მაგრამ არ დაივიწყოთ, რომ მუხლებამდე მოკლე კაბა მხოლოდ ახალგაზრდებს უხდებათ. თქვენ კი ასეთ კაბაში სასაცილო გამოჩნდებით. თქვენი კაბა უნდა ფარავდეს მუხლებსაც და საჭიროების შემთხვევაში, სქელ ფეხებსაც.

სარკეში შეამოწმეთ კაბის სიგრძე, ჩაიცვით ისეთი სიგრძის კაბა, რომელიც უფრო პროპორციულს გახდის თქვენს ტანს.

თანამედროვე მოდა ბევრ რამეში უდგება თქვენს ასაკს. სადა ფასონები, სწორი, მკაცრი ხაზები, უბრალო მორთულობა თითქოს თქვენთვის არის შექმნილი. სწორი, ან ოდნავ გამოყვანილი კაბა, ჟაკეტი ან ჯემპრი ფარავს სქელ წელს.

მთლიანგამოჭრილ კაბაში, რომელიც ჯერჯერობით ისევ მოდაშია, ტანი უფრო წვრილი და გამოყვანილი ჩანს. ნუ ინდომებთ წელზე შემოჭერილ, ფართო ქამარს. უკეთესია გაიკეთოთ ვიწრო, თეძოებზე შემოდებული, შენასკვული და ძირს ჩამოშვებული ქამარი, მითუმეტეს, რომ ასეთი ქამრები ახლა მოდაშია. მეტისმეტად მოხერხებულია როგორც სამუშაოდ, ასევე თავისუფალ დროს კოსტუმი სწორი ან ბოლოში ოდნავ გაფართოებული ქვედატანით და სწორი ჟაკეტით. ასეთ კოსტუმში თქვენ ყოველთვის შესანიშნავად იგრძნობთ თავს.

საზაფხულოდ შეიკერეთ უსახო ან წვრილად მოჩითული სატინის, რეპსის, პოპლინის კაბა, საზამთროდ — შალის, ნახევარშალის ანდა მოდური ბუკლეს ქსოვილისა.

საშინაო კაბები სჯობს შეიკეროთ მთლიანგამოჭრილი, ისეთი ქსოვილისაგან, რომელიც არ იჭმუჭნება, წინ საკინძეთი, დიდი, ფართო, ჯიბეებით. ასეთი კაბა ძალზე მოხერხებულია, ის ხალათსაც ცვლის. დასვენების დროს შეგიძლიათ ასეთი კაბით გაუხდელად წამოწვეთ, საოჯახო საქმეების კეთებისას კი აიფაროთ მის ფერთან შეხამებული წინსაფარი.

რა თქმა უნდა, საჭიროა გქონდეთ გამოსასვლელი კაბა (სათეატროდ, სასტუმროდ). გირჩევთ შეიკეროთ იგი სწო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რი ან ბოლოში ოდნავ გაფართოებული.

გამოსვლელი კაბისათვის შეარჩიეთ რბილი ქსოვილი, იგი ტანზე ლამაზად და თავისუფლად მოგადგებათ. საზამთრო კაბისათვის კარგია კრეპის ტიპის რბილი შალი, ან სქელი და რბილი აბრეშუმი, საზაფხულოდ — კრეპდეშინი, რომელიც კვლავ შემოდის მოდაში, მაროკენი ან რბილი ჟაკარდული ქსოვილი.

ახლა ფერების შესახებ. არ იფიქროთ, რომ მარტო შავი ფერია თქვენი ასაკის შესაფერი. შეგიძლიათ ჩაიცვათ მშვიდი მწვანე, ლურჯი, ან ხორცისფერ-ყავისფერი გამის ქსოვილი — იმის მიხედვით, ვის რა ფერის მოუხდება. სწორად მოიქცევით, თუ კაბის ქსოვილის შერჩევის დროს მას სახეზე მიიფარებთ და სარკეში ჩაიხედავთ. ასე უფრო კარგად გაიგებთ რომელი ფერი გიხდებათ.

საერთოდ, მსუქანი ქალებისათვის უკეთესია მუქი, ერთი ტონისა და მქრქალი ფერის ქსოვილები, გამხდრებისათვის —ღია ფერის ან პრიალა ქსოვილები. ჭაღარა თმას კარგად ეხამება ნაცრისფერი და ხნიერთათვის ტრადიციული სოსანისფერი.

მოდური წითელი ფერი კი თქვენ ასაკს სრულიად არ შეეფერება, იგი ტუალეტის დეტალებისთვისაც კი არ უნდა იხმაროთ.

ყველა ქალს როდი აქვს იდეალური აღნაგობა. თუ ახალგაზრდა ქალის კაბამ უნდა გამოაჩინოს ქალის სხეულის სილამაზე, ხნიერი ქალის კაბამ პირიქით — უნდა დაფაროს მისი ტანის ზოგიერთი ნაკლი.

მაინც როგორ უნდა დაიფაროს და შეუმჩნეველი გახდეს ტანის ნაკლოვანებანი? კაბა დაბლა მოკერებული წელით, ახლა რომ მოდაშია, აგრძელებს ტანის ზემო ნაწილს, ხოლო მთლიანი, თავისუფალი ზურგი, მხრებთან ორი ჩანაკერით, ფარავს ბეჭებში მოხრილობას.

სიფრთხილე გამოიჩინეთ გულისპირის ამოჭრის დროს. თუ ზაფხულში თქვენ მოისურვებთ ხალვათ და გულამოჭრილი კაბის შეკერვას, უმჯობესია გაუკეთოთ წვეტიანი ან ტრაპეციის მაგვარი ამონაჭერი.

ახლა მოდაშია პატარა საყელო და ვიწრო გადმონაკეცი, მაგრამ ეს ძალზე მსუქან ქალებს არ უხდებათ, სამაგიეროდ პატარა, მინიატურული ტანადობის ქალებს არ შვენით კაბის მოსართავი დიდი დეტალები: ჯიბეები, საყელოები და სხვა.

ჰოდა, თუ ყურადღებას მიაქცევთ თქვენს ტანსაცმელს, ტანს, სახეს ყოველთვის მიმზიდველი და სანდომიანი იქნებით.

ე. პოლიკოვსკაია,
მხატვარი-მოდელიორი.

# როგორ გამოვასწოროთ სხეულში ჰარმონიულობა

(მესამე გაკვეთილი)

ეს ვარჯიშები არ მოითხოვს სპეციალურ მოძრაობებს, შეიცავს მხოლოდ ბუნებრივ პოზებს და მათი შესრულებაც ადვილია. ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი მოძრაობა უნდა შესრულდეს მაგარ ტახტზე ან იატაკზე.

1 დავწვეთ ზურგზე, ხელები ამოვიდოთ თავს უკან, კისერზე. თავი გადავწიოთ უკან (სურ. 1).

2. დავწვეთ იატაკზე, დავეყრდნოთ იდაყვებს, ნიკაპი დავიდოთ ხელის მტევნებზე. ამ მდგომარეობაში შეგვიძლია ვიკითხოთ კიდეც (სურ. 2).

3. დავწვეთ ზურგით იატაკზე. ხელები თავქვეშ დავიწყოთ. ბეჭებს ქვემოთ ამოვიდოთ მაგარი მუთაქა ან დახვეული ფარდაგი (სურ. 3).

4. დავჯდეთ კედელთან, საწოლთან ისე, რომ შეგვეძლოს ხელებით ჩამოვეკიდოთ. ბეჭებს უკან ამოვიდოთ მუთაქა (სურ. 4).

5. იგივე მდგომარეობა, რაც მე-2 სურათზეა ნაჩვენები, მუცლის ქვედა ნაწილთან ამოვიდოთ მუთაქა (სურ. 5).

6. დავწვეთ ზურგზე, ხელები თავს უკან. ბეჭებს ქვემოთ დავიდოთ მუთაქა. მოხრილი ფეხები მივაბჯინოთ კედელს (სურ. 6).

ზემოთ ჩამოთვლილი ვარჯიშები დიდ დატვირთვას არ მოითხოვს. ამიტომ მათი შესრულება შეიძლება ხანგრძლივი დროის განმავლობაში.

დასასრულ გვინდა კიდევ ერთი ძალზე სასარგებლო ვარჯიში შემოგთავაზოთ:

ინდონეზიაში და აფრიკის სხვადასხვა ქვეყნებში ქალები ტვირთს თავზე ატარებენ. ერთი შეხედვით ეს უცნაურად მოგეჩვენებათ, მაგრამ თუ მათ ტანადობას დაუკვირდებით, ადვილად დარწმუნდებით, რომ ისინი გამოირჩევიან ლამაზი ტანით, მოხდენილი სიარულით და თავის კოხტად დაჭერით. ეს გასაგებიცაა. თავზე ტვირთით სიარული გაიძულებთ მხრები დაუშვათ, წელში გაიმართოთ, გულმკერდი წინ გამოსწიოთ, თავი დაიჭიროთ სწორად. წინააღმდეგ შემთხვევაში ტვირთი გადმოგივარდებათ. თავზე ტვირთით სიარული ამაგრებს ზურგის და კისრის კუნთებს, რომელთაც თავის სწორად დაჭერაში დიდი როლი მიუძღვით.

• ქეჩის ან დაგრეხილი ქსოვილისაგან შეგიძლიათ შეკეროთ პატარა რგოლი, რომელიც ნიკაპქვეშ უნდა ამოიდოთ. თავზე შეგიძლიათ დაიდოთ გატენილი ბურთი (მედიცინბოლი), სილით გატენილი პატარა ტომარა, ჯამი წყლით და სხვა.




პირველ ხანებში ტვირთი არ უნდა აღემატებოდეს 1-2 კგ და ატარეთ 3-5 წუთი. შემდეგში კი შეგიძლიათ 20-25 წუთიც ატაროთ, ხოლო ტვირთის სიმძიმე გაზარდოთ 10-15 კილოგრამამდე. მამაკაცებს უფრო მეტი ტვირთის ტარებაც შეუძლიათ. ბავშვებისათვის ტვირთი არ უნდა აღემატებოდეს 4-5 კილოგრამს. ვარჯიშების ჩატარება შეიძლება დღის სხვადასხვა დროში, ოღონდ დაძინებამდე 1-2 საათით ადრე მაინც. დიდი მნიშვნელობა აქვს სწორ სუნთქვას. ისუნთქეთ ღრმად და ცხვირით.

კიდევ ერთი აუცილებელი პირობა: სადაც არ უნდა იყოთ, არ უნდა დაკარგოთ საკუთარი თავის კონტროლი. საჭიროა ტანის მდგომარეობის მუდმივი კონტროლი. მიეჩვიეთ ოდნავ აწეული თავით სიარულს, მხრები გადაშალეთ, მუცელი ოდნავ შიგნით შესწიეთ, გულმკერდი წინ გამოსწიეთ, ჯდომის დროს ბეჭებით მიეყრდენით სკამის საზურგეს და სხვა. ეს ყოველთვის უნდა გვახსოვდეს.

ზემოთჩამოთვლილი ვარჯიშების სწორი და რეგულარული შესრულება აუცილებელია იმისათვის, რომ შეინარჩუნოთ ტანის მოქნილობა, მოხდენილობა და კარგი საერთო ფიზიკური მდგომარეობა.

გივი ყირმელაშვილი,
სპორტის ოსტატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ტკბილეული წაბლისაგან

ტრადიციულად, ჩვენს სუფრაზე წაბლი მოაქვთ, როგორც ხილი — მოხარშული და შემწვარი სახით. მისგან კი ბევრი გემრიელი და სასარგებლო ტკბილეულის დამზადება შეიძლება. ამჯერად სწორედ ამაზე გვინდა შევაჩეროთ თქვენი ყურადღება.

ტკბილეულის დასამზადებლად წაბლი პირველ რიგში უნდა შეიწვას ან მოიხარშოს, მერე კი დამუშავდეს.

შეწვის შემთხვევაში უმ წაბლს დანით ჯვარედინად შეუჭერით კანი, მშრალ „ჩუდოში", ან ღუმელის ლასტზე განალაგეთ და ცეცხლზე იქამდე გააჩერეთ, ვიდრე არ დარბილდება ან გული არ გაუფხვიერდება.

მოხარშვის შემთხვევაშიც უმ წაბლს დანით დაუდალეთ კანი, მდუღარე წყალი დაასხით და იმდენ ხანს ხარშეთ, რომ ადვილად გაასუფთაოთ ქერქისაგან. გასუფთავებულ წაბლს კვლავ დაასხით მდუღარე წყალი ან რძე (მცირე რაოდენობით) და დარბილებამდე ხარშეთ, მერე საწურში ჩაჰყარეთ და კარგად დაწრიტეთ.

შემწვარი ან მოხარშული და ქერქისაგან განთავისუფლებული წაბლი ჯერ საკეპ მანქანაში გაატარეთ, შემდეგ კი საწურში ან საცერში გახეხეთ. მხოლოდ ამგვარად დამუშავებული წაბლი შეგიძლიათ გამოიყენოთ სხვადასხვა ტკბილეულის დასამზადებლად.

## სადესერტო წაბლი

მ ა ს ა ლ ა: 500 გრ მოხარშული და გახეხილი წაბლი, $1\frac{1}{2}$ ჭიქა შაქარი, $1\frac{1}{2}$ ჭიქა რძე, 1 ჭიქა ნიგოზი, 100 გრ შოკოლადი, 1 შეკვრა შაქარნარევი ვანილი.

რძისა და შაქრისაგან წამოადუღეთ სქელი სიროპი, შიგ ვანილი და დამზადებული წაბლი ჩაამატეთ და რამდენიმე წუთი ადუღეთ. როცა მასა შესქელდება, ფიცარზე მოათავსეთ, ზედ წმინდად დაჭრილი და მოხალული ნიგოზი დააყარეთ და კოვზით მსუბუქად ურიეთ. შემდეგ ამ მასისაგან ნებისმიერი ზომის გუნდები დაამზადეთ, ყოველი მათგანი შოკოლადის ფხვნილში ამოავლეთ, გასაშრობად სინზე დააწყეთ, გააგრილეთ და სუფრაზე ისე მიიტანეთ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: წაბლის მასის დამზადებისას, სურვილისამებრ, შეგიძლიათ შეურიოთ 1 ან 2 სუფრის კოვზი კაკაო.

## წაბლის ძეხვი

მ ა ს ა ლ ა: 1 კგ წაბლი, 250 გრ შაქარი, 250 გრ კარაქი, 1 ჭიქა ნიგოზი, 2-3 ჩაის კოვზი ლიქიორი. ცალკე შოკოლადის მინანქარის დასამზადებლად: 100 გრ შოკოლადი, $\frac{1}{2}$ ჩაის კოვზი კარაქი.

მომინანქრებულ თასში შაქარი და კარაქი იმდენ ხანს ლესეთ, ვიდრე არ გათეთრდება. შემდეგ დამუშავებული წაბლი, აგრეთვე წვრილად დაჭრილი და მოხალული ნიგოზი შეურიეთ, ზევიდან ლიქიორი დაასხით და კოვზით მსუბუქად ურიეთ. მიღებული მასა შაქარმოყრილ ნაჭრის ხელსახოცზე გადაიღეთ. ხელსახოცის დახმარებით მას ძეხვისებური ფორმა მიეცით და ფრთხილად ლანგარზე მოათავსეთ. ზევიდან შოკოლადის მინანქარით დაფარეთ და გააგრილეთ. სუფრასთან მიტანის წინ დასჭერით პატარ-პატარა ნაჭრებად.

## შოკოლადის მინანქრის დამზადება

შოკოლადის ნატეხები ქვაბში ჩაყარეთ და ნელ ცეცხლზე შედგით, თან შეუნელებლივ ურიეთ. დადნობისთანავე $\frac{1}{2}$ ჩაის კოვზი კარაქი შეურიეთ. დამდნარი შოკოლადი წაბლის ძეხვს ქვაბიდანვე მოასხით ზევიდან ისე, რომ მთელი ზედაპირი თანაბრად დაიფაროს.

## წაბლის კრემი

მ ა ს ა ლ ა: 500 გრ წაბლი, 150 გრ კარაქი, 1 ჭიქა შაქარი, $\frac{1}{2}$ ჭიქა ნიგოზი, 2 სუფრის კოვზი კაკაო, 1 შეკვრა შაქრიანი ვანილი. ცალკე, კრემისათვის: 1 ჭიქა რძის ნაღები, 4 სუფრის კოვზი არაჟანი, 2 სუფრის კოვზი შაქრის ფხვნილი, 1 ფორთოხალი, 1 შეკვრა შაქრიანი ვანილი.

კარაქი და შაქარი სითეთრემდე ალესეთ, მას შემწვარი და გახეხილი წაბლი, საკეპ მანქანაში გატარებული ნიგოზი და კაკაო შეურიეთ. მიღებული მასა საწურში მოათავსეთ. მაგიდაზე სუფთა სინი დადეთ, მის თავზე, ხელში (რაც შეიძლება მაღლა) საწურავი მოიმარჯვეთ და შიგ მოთავსებულ მასას ხეხვა დაუწყეთ. სინზე გორაკის მსგავსი ფაფუკი მასა წარმოიქმნება. ქვევიდან, გარშემო, ლამაზ ზოლად მას კრემი მოავლეთ, შემდეგ კი თქვენი გემოვნებით ფორთოხლის ნაჭრებით მხატვრულად გააფორმეთ.

## კრემის დამზადება

ქვაბში გაგრილებული რძის ნაღები და არაჟანი ჩაასხით. მერე იგი ცივ წყლიან თასში ჩადგით და სათქვეფელით თქვიფეთ, ვიდრე ქაფიან და ჰაეროვან მასას არ მიიღებთ. ზევიდან შაქრის ფქვილი და შაქარნარევი ვანილი მოაყარეთ და თქვეფა განაგრძეთ. კრემი სუფრაზე წაბლის გატანის წინ ცოტახნით ადრე დაამზადეთ.

## წაბლის ნამცხვარი (პეჩენია)

მ ა ს ა ლ ა: 300 გრ წაბლი, $1\frac{1}{4}$ ჭიქა შაქარი, 150 გრ კარაქი, $\frac{3}{4}$ ჭიქა ფქვილი, 2 კვერცხი, ცოტა სოდა.

კარაქი და შაქარი სითეთრემდე გალესეთ, მას მოხარშული და გახეხილი წაბლი შეაზილეთ, ზევიდან სოდაშერეული და გაცრილი ფქვილი დააყარეთ, მერე ერთი კვერცხი და მეორე კვერცხის მხოლოდ გული დაათქვიფეთ, ნარევი კარგად მოზილეთ, მისგან პატარ-პატარა გუნდები დაამზადეთ, ყოველ მათგანს ნებისმიერი ფორმა მიეცით, ზევიდან ათქვეფილი კვერცხის ცილა წაუსვით, შემდეგ კარაქმოსმულ ლასტზე გახალაგეთ და ზომიერი სიმცხუნვარის ღუმელში გამოაცხვეთ ისე, რომ ნამცხვარი ძალიან არ გამოშრეს.

გარეკანზე — თხილამურებზე — მხატვარი ლ. შენგელია

რედაქტორი თ. აბაშმაძე.
სარედაქციო კოლეგია: მ. ბარათაშვილი, ე. ბაღდავაძე, ე. თავაძე, მ. კალანდაძე (პ. მგ. მდივანი), თ. ლაშქარაშვილი, ბ. მჭედლიძე, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ნ. ჯავახიშვილი.
მხატვრული რედაქტორი ლ. შ ე ნ გ ე ლ ი ა. ტექრედაქტორი ქ. დ ე მ უ რ ო ვ ა.
რედაქციაში შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდებათ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 3/XII-62 წ. ქაღალდის ზომა 60×92. ფიზ. ფორმ. რაოდ. 1,75.
პირობით ფორმათა რაოდ. 5,3.

რედაქციის მისამართი—სულხან-საბას ქ. № 15. ტელ. 9-98-71.
ტირაჟი 45.000. ფასი 30 კაპ.
შეკვეთის № 2128 უე 03407

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал „Сакартвелос Кали".
Издательство ЦК КП Грузии.

# წაბლის ტორტი შოკოლადის კრემით

მ ა ს ა ლ ა: 30 ცალი მსხვილი წაბლი, 200 გრ. კარაქი, 1 ჩაის ჭიქა შაქარი, 3/4 ჩაის ჭიქა ნიგოზი, 8 კვერცხი. ცალკე კრემისათვის 3 კვერცხი, 150 გრ შაქარი, 100 გრ კარაქი, 50 გრ შოკოლადი.

შაქარში სითეთრემდე ალესეთ კარაქი, შეურიეთ მანქანაში გატარებული ნიგოზი, დაათქვიფეთ 5 ცალი კვერცხის გული და 3 ცალი კვერცხი მთლიანად, დააყარეთ ნახევარი ლიმონის ცედრა, ბოლოს ჩაუმატეთ მოხარშული და გახეხილი წაბლის მასა, ცოტა სოდა და მსუბუქად ურიეთ.

მიღებული მასა კარაქმოსმულ დიდ ლასტზე გამოაცხვეთ. როცა ნამცხვარი გაგრილდება, ზევიდან შოკოლადის კრემი წაუსვით და სუფრაზე ისე მიიტანეთ.

# შოკოლადის კრემის მომზადება

ქვაბში ჩაახალეთ 3 ცალი კვერცხი მთლიანად, შიგ 150 გრ შაქრის ფხვნილი ჩაყარეთ. შემდეგ ეს ქვაბი უფრო მოზრდილ მდუღარეწყლიან ქვაბში ჩადგით. შაქარნარევ კვერცხს გაუჩერებლივ ურიეთ და ორთქლზე წამოადუღეთ. წამოდუღების შემდეგ გააგრილეთ, შიგ კარაქი პატარ-პატარა ნაჭრებად ჩაუმატეთ და თან შეუსვენებლივ ათქვიფეთ. ბოლოს დამდნარი შოკოლადი შეურიეთ, გააგრილეთ და ნამცხვარს ზევიდან წაუსვით. კრემის წასმის შემდეგ ნამცხვარს მოხალული და წვრილად დაჭრილი ნიგოზი მოაყარეთ, აქა-იქ ფიგურიანი პატარ-პატარა შოკოლადით მოალამაზეთ.

# წაბლის ტორტი შოკოლადის მინანქრით

მ ა ს ა ლ ა: 500 გრ წაბლი, 8 კვერცხი, $1^1/_2$ ჭიქა შაქარი, 100 გრ შოკოლადი, 50 გრ ნიგოზი, 50 გრ გაცრილი ორცხობილა.

8 კვერცხის გული შაქართან ერთად თქვიფეთ, შეურიეთ დამზადებული წაბლი, მანქანაში გატარებული ნიგოზი, გაცრილი ორცხობილა და, დასასრულს, 8 ცალი კვერცხის კარგად ათქვეფილი ცილა. ნარევს კოვზით ურიეთ მსუბუქად.

ლასტს ძირსა და გვერდებზე კარაქმოსმული პერგამენტის ქაღალდი ჩაუფინეთ, ზედ ტორტისათვის გამზადებული მასა მოათავსეთ და ქურაში ნელ ცეცხლზე გამოაცხვეთ (ორივე ტორტისათვის ნამცხვარი რბილი უნდა იყოს, ამიტომ ცეცხლზე დიდხანს არ უნდა გააჩეროთ და არ უნდა გამოაშროთ). როცა ნამცხვარი კარგად გაგრილდება, ორ ნაწილად გაჭერით. შუაში შოკოლადის კრემი წაუსვით, ზევიდან კი შოკოლადით მოამინანქრეთ. შოკოლადის კრემისა და მინანქრის რეცეპტი ზევითაა მოცემული.

საერთოდ, გახსოვდეთ: ამჯერად ჩვენს მიერ მოცემული კრემებისა და შოკოლადის მინანქრის რეცეპტი სხვა დროსაც გამოგადგებათ ამათუიმ ნამცხვრის გასაფორმებლად. ამიტომ სასურველი იქნება, რომ ეს მასალა ჟურნალიდან ამოიწეროთ, ან ამონაჭრების სახით შეინახოთ.

ცეცილია ელიგულაშვილი,
ლიდია პაიჭაძე.

# როგორ მოვუაროთ პარკეტის იატაკს

პარკეტის იატაკს არ უხდება ხშირი რეცხვა, განსაკუთრებით კი — ცხელი წყლით. ხშირი რეცხვა ცვეთავს და შლის პარკეტს თუ იატაკს გაუფრთხილდებით, ყოველდღიურად გულდასმით მოუვლით და გაასუფთავებთ, შეიძლება ძალიან დიდხანს შეინახოთ სუფთად და მისი გარეცხვა წელიწადში მხოლოდ ერთხელ ან ორჯერ დაგჭირდეთ.

პარკეტის იატაკი ისევე ირეცხება, როგორც ხის თეთრი, შეუღებავი იატაკი, ოღონდ წყალი მინიმალური რაოდენობითაა საჭირო. პარკეტის რეცხვას და მასტიკის წასმას ვაწარმოებთ მერქნის ფენების მიმართულებით. პარკეტის იატაკის მოსაპრიალებლად ხმარობენ მზა მასტიკას, რომელსაც თანაბარ თხელ ფენად უსვამენ პარკეტს იატაკის მორეცხვისა და კარგად გაშრობის შემდეგ. თუ იატაკს მასტიკის მოსმამდე არ მორეცხავთ, გულდასმით მაინც უნდა დაგავოთ. როცა მასტიკა გაშრება, იატაკს მოაპრიალებთ იატაკის ელექტროსაწმენდით ან ჯაგრისით, შემდეგ იატაკსაწმენდზე დამაგრებული მაუდის ნაჭრით, ნაბდით ან ფეტრით.

მასტიკა შეგიძლიათ სახლშიც დაამზადოთ: აიღეთ 1 წილი თაფლის სანთელი და 2 წილი სკიპიდარი. თაფლის სანთელი სახეხზე გახეხეთ ან დანით დაფხიკეთ, დაასხით სკიპიდარი და ასე დატოვეთ 5-6 დღის განმავლობაში. ხმარების წინ მასტიკა ცხელ წყალში გახსენით: ერთ კვადრატულ მეტრ პარკეტს დასჭირდება 25 გრ მასტიკა და 400 გრ წყალი.

თუ პარკეტის იატაკი ძალიან თეთრია და გსურთ ოდნავ გააყვითლოთ, მასტიკაში უნდა ჩაურიოთ ყვითელი საღებავის ფხვნილი (რომელსაც იატაკის ან ჩითეულის შესაღებად ხმარობენ). საღებავს წინასწარ გახსნით ცხელ წყალში, კარგად აურევთ და შემდეგ ჩაუმატებთ მასტიკაში.

მასტიკის მოსმა რეკომენდებულია მხოლოდ ერთხელ თვეში, რადგან უფრო ხშირი ხმარებით (მითუმეტეს, საღებავიანი მასტიკისა) პარკეტი, ჩვეულებრივ, ფუჭდება. თაფლის სანთლით წმენდა კი ყოველკვირაა საჭირო.

პარკეტის იატაკიდან ლაქები ისევე ამოჰყავთ, როგორც ხის იატაკიდან: ახლადდამჩნეული ცხიმის ლაქა შეიძლება მოვაშოროთ სახეხი ქაღალდით, ძველადდამჩნეულ, ცხიმის ლაქას ჯერ სკიპიდარს უსვამენ, თუ ლაქა არ მოშორდა, ამ ლაქას მოაყრიან ტალკს, ან თეთრი თიხის ფხვნილს, დააფარებენ საშრობ ქაღალდს და ზევიდან გადაუსვამენ ზომიერად ცხელ უთოს. ზოგჯერ ამ ოპერაციის გამეორებაც ხდება საჭირო.

ძალიან გაჭუჭყიანებულ პარკეტს თუ რეცხვით არაფერი ეშველა, თხლად უნდა გადააფხიკოთ ზედა ფენა. ამ სამუშაოს უფრო ხშირად სპეციალისტებს ანდობენ, რომლებიც სპეციალური ხელსაწყოთი სარგებლობენ. იატაკი შეიძლება ჩვენ თვითონაც გადავფხიკოთ შუშის ნატეხით, რომელსაც მერქნის ფენების მიმართულებით ვატარებთ და ძალიან თხელ, ერთნაირ ფენას ვაცლით.

## კონკურსის შედეგები

ჟურნალ „საქართველოს ქალის" რედაქციამ მიმდინარე წლის იანვარში გამოაცხადა დახურული კონკურსი საუკეთესო მოთხრობასა და ნარკვევზე.

ჟიურიმ შეაჯამა კონკურსის შედეგები.

სულ საკონკურსოდ შემოვიდა 42 მოთხრობა და 18 ნარკვევი.

ჟიურიმ პრემია არცერთ მათგანს არ მიანიჭა. დასაბეჭდად რეკომენდებულ იქნა 8 მოთხრობა და 1 ნარკვევი:

ა. გეწაძის — „გვირილები", ლ. ჯაფარაშვილის — შოკოლადი „ბედნიერება", ნ. კობულაშვილის — „წავალ", ა. ჩხაიძის — „მესამე ზარის შემდეგ", ნ. ჩხაიძის — „ჩემი დედობილი", ს. მეტრეველის — „ლია და ჩემი ბიძაშვილი გოგი", მ. ჯახუას — „დისქეტიერო", ც. ვაჭარაძის — „ისევ დაგიბრუნდები", ი. ნოზაძის — „გოგონა ფონიდან" (ნარკვევი).



ეროვნული
ბიბლიოთეკა